



ვის არ ემეტება „ნაციონალები“ ისტორიის სანაბვეზე გასაშვებად?

ჯერ კიდევ არ იყო ამშრალი რუსთაველის პროსპექტზე პოლიციის მიერ დარბეული დემონსტრანტების სისხლი, რომ გამოქვეყნდა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევის შედეგები, რამაც კიდევ ერთხელ დააჩვენა ქართველი საზოგადოება იმაში, რომ „ნაციონალები“ არ აპირებენ ხელისუფლების დათმობას და კიდევ დადგრიან სისხლს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ამ ინსტიტუტის მონაცემებით, თურმე ქართველთა 44 პროცენტი ისევ „ნაციონალებს“ უჭერს მხარს, მაგრამ, ხოლო იგივე ელექტორატის 75 პროცენტის აზრით, თურმე საქართველოს არც ჰყოლია და არც ეყოლება სააკაშვილზე უკეთესი პრეზიდენტი.

აღნიშნული ინსტიტუტი რომ სიყალბისა და ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრის ოსტატია, ამაში მას შემდეგ დარწმუნდით, როცა 2008 წლის სამარცხვინო ომის შემდეგ, რითიც სააკაშვილმა საბოლოოდ გადაუწურა ქართველ ხალხს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების იმედი, (IRI) - ის მიერ ჩატარებული გამოკითხვით ქართველმა ხალხმა კვლავ კურდღელით უზომოდ დამფრთხალი სააკაშვილი და ის „ნაციონალები“ აირჩიეს, ვინც ხალხი შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს შეატოვა „ბრძნული“ რჩევით – „აიღეთ ტანტები, ქაბები და თხები და თავი დაიცავით“.

მოკლედ, გადამთიელთა ხელში სიცრუის იარაღად ქცეული IRI ყოველნაირად ცდილობს, რომ ქართველი ხალხი ბედისადმი ბრმად მორჩილად წარუდგინოს მსოფლიო საზოგადოებრიობას. თუმცა, რომ არსებობს გრიოზული ან სხვა სახის დაავადებათა ეპიდემია? მაშინ, რატომ არ შეიძლება, რომ არსებობდეს ფსიქიურ გადახრათა პანდემია, რამაც ხელი დარიო ქართველ ხალხს და სწორედ ეს აიძულებს მასას, რომ კვლავ მონური მორჩილებით შესცქეროდეს იმ ნაციონალებსა და მათ „ბელადს“, რომელთაც გააღატაკეს ქართველი ერი და განადგურების რეალობის წინაშე დააყენეს მცნება „ქართული სახელმწიფო“.

ჩვენ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრების დახმარებით შევეცადეთ გამოვგვეჩვენა, თუ როდის ჩაატარა IRI-მ აღნიშნული კვლევა და რამდენი ადამიანი გამოკითხეს მათ სამეგრელოს რეგიონში. იგივე თხოვნით მივმართეთ ჩვენს კახელ

მეგობრებსაც, რომლებიც გულისხმიერებით მოგვიდნენ აღნიშნულ საქმეს, რადგან მათაც საფუძვლიანი ეჭვი შეიტანეს გამოკვლევის ობიექტურობაში. ორკვირიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ დავადგინეთ, რომ არც კახეთისა და არც სამეგრელოს რეგიონში ამგვარი რეიტინგული გამოკვლევა საერთოდ არ ჩატარებულა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

მაშ ვინ გამოკითხეს ჩვენმა უცხოელმა „კეთილსმყოფელებმა“ საიმისოდ, რომ ამგვარი დასკვნა გამოქვეყნებინათ?

მთელი ამ ხრიკის გამოსაშვარავლად ჩვენ თვითონ ჩავატარეთ ანალოგიური კვლევა სამეგრელოში და გამოკითხეთ ორი ათასამდე შემთხვევით ქუჩაში შეჩერებული მოქალაქეები და სულაც არ გაგვეჩვენებია, რომ განსხვავებული მონაცემები მივიღეთ. იმ სამეგრელოს მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი, რომლის ოჯახთა უმრავლესობას უახლოესი ნათესავები ჰყავს ენგურს გაღმა, მიიჩნევს, რომ საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა განაპირობებს სააკაშვილის ხელისუფლების მორალატობრივ კმედებებს, რაც მათ მახლობელი ხალხის მონახულების საშუალებას არ აძლევს. ამიტომ თვლიან ისინი, რომ საქართველოს ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც რუსეთთან მოლაპარაკების გზით შესძლებს არსებული საიზოლაციო სისტემის შერბილებას და საქართველოს ტერიტორიულ გაერთიანებად მათ თუნდაც იმის საშუალება გაუზრდებოთ, რომ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოინახულდნენ თავიანთი აფხაზეთი ნათესავები.

ვინ იტყვის, რომ ხალხის ამგვარი სურვილი არ არის რეალური და ანგარიშგასაწევი? ან რა გასაკვირია, რომ ეს მასიური სწრაფვა არ გაითვალისწინოს ვიღაც უჯიშო გადამთიელთაგან დაკომპლექტებულმა ინსტიტუტმა, რომელთაც არამც თუ შორეული მოყვრები, არამედ მშობლები, და-ძმანი და ბები-ბაბუებიც კი არ მიანიათ ნათესავებად?

როგორ ფიქრობთ, რა უნდა მისცეს ქართველ ხალხს, გარდა რუტინისა და საკუთარი სურვილების საწინააღმდეგო რეკომენდაციებისა, ურელიგიო, უმრწამსო, ტრადიციებს მოწყვეტილი და გარყვლების მორევში ჩაფლული ადამიანებისაგან დაკომპლექტებული ინსტიტუტის გამოკლე-

ვებ? მათ რომ ქართველი ხალხის მენტალური მიზანწრაფების კვლევა დაგვალოთ, გამოვა, რომ მთელი ქართველი ხალხი კატეგორიულად ემხრობა პომოსე-ქსუალიზმს, ლესბოსელობას, მეძაგობას, ერთსქესიანთა ქორწინებას და სხვა უბედურებებს!

თუმცა, მათი „დამსახურება“, რომ დღეს ლამის სირცხვილად მიჩნეული ნატურალობა და თუ რაიმე პათოლოგიური გადახრა არ გაგანია, პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე სამსახურის შოვნა.

ამიტომაც მოგვიმზადდნენ დღისაძეები, ბუღაძეები, ბურჭულაძეები, მანიები, ბიჭოლები, სტეფანეები, წერეთლები, „რუსთავე-2“-ები, „იმედ“-ები...

და როგორც ფიქრობთ, ნორმალურად მოაზროვნე საზოგადოების ნაწილი მაინც იმ ანტიქართულ ხელისუფლებაზე გააკეთებს არჩევანს, რომელმაც იგი ხორციელი და სულიერი განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა?

დღეს საქართველოში უამრავ ოჯახს ჰყავს პატიმარი წევრი, რომლებიც აუტანელ პირობებში იმყოფებიან და დღემოდ ფიზიკური განადგურება ემუქრებათ!

როგორ ფიქრობთ, ეს ოჯახები მაინც „ნაციონალებს“ დაუჭერენ მხარს?

ერთ მიდლიონამდე ოჯახი იმყოფება დღეს რუსეთში და იქ გამოუშვებელი ფულით არჩენს ოჯახებს საქართველოში.

როგორ ფიქრობთ, ეს ოჯახები მაინც „ნაციონალებს“ დაუჭერენ მხარს?

ან ის ოჯახები თუ დადებიან ამ ავად-სახსენებელთა გვერდით, რომლის უდანაშაულო შეილებიც მხეცურად ჩახოცეს ქალაქის ქუჩებში დღისით-მზისით? იქნებ ისინი „იკლავენ“ თავს ნაციონალებისათვის, რომლებიც ხელისუფალთა მმართველური პოლიტიკის გამო სიღატაკის ზღვარზე იმყოფებიან? იქნებ ხელისუფლებისაგან გამათხოვრებული აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები ემხრობიან მათ? ან იქნებ ის პენსიონერები, რომლებიც უკვე მერამდენე წელიწადია რუდუნებით (მაგრამ – ამაოდ) ელოდებიან 100-დოლარიან პენსიას?

ან იქნებ იმ სამეცნიერო და შემოქმედებითმა ინტელიგენციამ გამოიღო თავი ნაციონალებისათვის, რომელთაც სააკაშვილმა „ჩარეცხილები“ უძახა?

იქნებ იმ გლეხმა, რომელსაც ხელისუ-

ფალთა ოჯახების მიერ ენერგომატარებლების მონოპოლიზებით გამოწვეული სიძვირე მიწის დამუშავებისა და მოსავლის მოყვანის საშუალებას არ აძლევს?

სხვა კატეგორიის ხალხი საქართველოში მე არ მეუფლება!

აბა, მაშ ვინ და როდის გამოითხა იმ ჩვენი ცოდვით სასვე რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა, რათა ქართველებისათვის მართლაც სამარცხვინო რეიტინგული მონაცემები გამოქვეყნებინა?

თუმცა, არის ხალხის კიდევ ერთი კატეგორია, რომელც უდავოდ კმაყოფილია „ნაციონალებისა“ და მათი ბელადის მართლაც ანტიქართული მოღვაწეობით!

ესენი თავად „ნაციონალები“ არიან!

აი, თურმე ვინ გამოკითხეს IRI-ის!

თავიდანვე ასე ეთქვათ ამ დალოცვილებს, რომ, რომ ტვინი არ გვეჭყლიტა ამ დილეშის ამოხსნით და დამატებითი კვლევები არ ჩაგვეტარებინა!

სამწუხარო მსოფლოდ ისაა, რომ ამ „ნაციონალებს“ შორის მართლაც ბევრია ის ქართველი, რომელსაც თავისი სამშობლოსათვის სიკეთე და ბედნიერება სურს, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმით გათანგულები იძულებული არიან პირში წყალი ჩაივარდონ და ისე გააყენონ მდინარებას!

მდინარებას კი, როგორც საქართველოს ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიამ ამბობდა „მსოფლოდ გვაშენი მიჰყვებიან“!

ფიზიოლოგიურ გავსს ყველა პატივის მიგებით ღაქრძალავ და თავს ვალმოხდილად იგზნობს, მაგრამ, რა უნდა მოუხერხო ცოცხალ პოლიტიკურ გავსს?

ვერ დაკრძალავ, რადგან სუნთქავს!

ვერც მიწის ზემოთ გააჩერებ, რადგან ყარს და უწმინდურებას აფრქვევს!

აი, რა არის დღეს საქართველოსა და ქართველი ხალხის პრობლემა!

თუმცა, არსებობს ამ პრობლემის გადაჭრის კანონიერი გზა – პოლიტიკურ გავსს პოლიტიკურ სანაგვეზე უნდა მიუჩინო ადგილი, რადგან მისი სიმყრალე ბუნებრივად შეერწყმება აქ გაშვებულ შმორსა და სიღამაღეს!

ამ სანაგვეზე ადგილს დაიმკიდრებენ როგორც ნაციონალები, ასევე მათ მიერ მოსყიდული პოლიტიკური ავანტიურისტი რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI).



ალექსანდრე ჯაჭია: მსოფლოდ მოღალატეები არ ისარგებლებდნენ იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერბები ბალაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ

გადმობეჭდილია გაზეთიდან „საქართველო და მსოფლიო“

8

აღა მარშანი: აფხაზეთის ძირძველი მკვიდრის ხვდება, რომ საქართველოს პართიანობას აპერიკული ადვინისტრასია ქართველი და რუსი ხალხის ნაქილავით ნილავს

3

სარგაი ქრემლიოვი
გარია — XX საუკუნის
საუკეთესო მენეჯერი
4 **თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი**
გური ოტოგაია **11**
მურტომუმი
7 **როგორ**
მოვიპოოთ
არჩევნები



სახალხო მოძრაობა
სამეგრელო ქალას
იქრებს

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და გაზეთი „ილორი“ გულითადად უსამძიმრებენ მთელ აფხაზ ხალხს მისი ღირსეული შეილის, თავისი სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტის, პრინციპული და უმწიკვლო პოლიტიკოსის, უაღრესად თბილი და ყურადღებიანი ადამიანის

სარგაი ბალაფშის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ღირსეული შვილები

გამორჩენილი აფხაზი იურიისპი

ბრიგოლ ზუხბაია

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვაწოდეს არველოდი კუპრავას სქელტანის წიგნი **“ხალხი: ღრუ და ცხოვრება”**, რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში.

რუბრიკით **“აფხაზეთის ღირსეული შვილები”**, გაგრძელებით წიგნში დასტოვებული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე გრიგოლ მათეს ძე ზუხბაია დაიბადა 1879 წელს, სამურზაყანოს (ახლანდელი – გაღის) მაზრის მთიან სოფელ ღუმურიშში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მომავალი დიდი იურისტი და აფხაზთა ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი პირველდაწყებით განათლებას იღებს სოხუმის მთიელთა სკოლაში, რომლის შემდეგ ზუხბაიების საკმაოდ ხელმოკლე ოჯახი იმდენს მაინც ახერხებს, რომ ნიჭიერ ყმაწვილს სწავლა გააგრძელებინოს სტავროპოლის კლასიკურ გიმნაზიაში. აქ კიდევ უფრო მეტად გამოვლინდა გრიგოლის გასაოცარი ინტელექტუალური შესაძლებლობები და სწავლისადმი დაუოკებელი სწრაფვა. ბავშვი მუდამ გიმნაზიის ბიბლიოთეკაში იჯდა და სპეციალურ ლიტერატურას ეცნობოდა.

1898 წელს სოხუმის სასწავლო ოლქის მზრუნველის რეკომენდაციით გრიგოლ ზუხბაია სასწავლებლად მოსკოვში გაგზავნეს, სადაც წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და უკონკურსოდ ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

მაგრამ ახალგაზრდა კაცი მალე დაავადდა რევოლუციის **“ვირუსით”** და 1900 წელს, სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის იგი დააპატიმრეს, მოათავსეს ბუტირკის ციხეში, საიდანაც რამდენიმე კვირის შემდეგ ეტაპირებული იქნა კავკასიაში. ერთი წლის შემდეგ გრიგოლ ზუხბაია უნივერსიტეტში აღადგინეს, რომელიც 1903 წელს დაამთავრა და დატოვეს რომის სამართლის კათედრაზე. მატერიალურმა ხელმოკლეობამ ყმაწვილი აიძულა, რომ პრაქტიკულ საქმიანობას შესდგომოდა, სადაც გასაოცარი საქმიანი თვისებები გამოავლინა. 1903-1904 წლებში მოსკოვის საოლქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია, 1904-1909 წლებში კი მოსკოვის სასამართლოს პალატის ნაფიც მსაჯულთა საბჭოს ნდობით აღჭურვილი მოსამართლის თანაშემწეა, შემდეგ კი ინიშნება თბილისის სასამართლო პალატის ნაფიც მსაჯულად.

1911 წელს გრიგოლ ზუხბაია მშობლიურ აფხაზეთს უბრუნდება და სოხუმის ქალაქის სათათბიროს ხმოსანი ხდება, სადაც აქტიურად იცავს საკუთარი სამშობლოსა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ამავე დროს იგი აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ საქმიანობაში – იყო რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი (**“სოხუმის ოლქის მოსახლეობისა და ბუნების კვლევის მოყვარულთა საზოგადოება”**, **“ტუბერკულოზთან ბრძოლის სოხუმის საზოგადოება”** და სხვა).

1907 წელს გრიგოლ ზუხბაია ა.მ. ჭოჭუასთან, ა.ი. ჩუკბართან და სხვებთან ერთად ჩამოყალიბებული დღევანდელი შემადგენლობაში წარსდგა თბილისში, მეფისნაცვალ თავად

ვორონცოვ-დაშკოვის წინაშე თხოვნით, რათა **“დამნაშავეს”** ბრალდება მოხსნოდა მთელ აფხაზ ხალხს.

1917-1921 წლებში გრიგოლ ზუხბაია, როგორც გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და სამართალდამცველი იურისტი, აქტიურად მონაწილეობს სოციალური სამართლიანობის აღსადგენად. 1917 წლის მარტში სოხუმის ქალაქის სათათბირო ნაფიც მსაჯულ გრიგოლ ზუხბაიას ირჩევენ მილიციის კომისრად. იგი იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს **“უპარტიო”** დეპუტატი, ამავედროულად მუშაობდა მიწის საოლქო კომისიის თავმჯდომარედ და სოხუმის ქალაქის თავად (1919 წელი).

1919 წლის 21 ივლისს, აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას გრიგოლ ზუხბაიამ დააყენა აფხაზეთის ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი. იგი მოითხოვდა, რომ კონსტიტუციას მიეცა ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლება. **“კონსტიტუცია კი არ ქმნის ცხოვრებას, ცხოვრება ქმნის კონსტიტუციას და ათავსებს მასში ამა თუ იმ შინაარსს”** – აღნიშნავდა გრიგოლ ზუხბაია. მისი, როგორც საუკეთესო ადვოკატის აზრი ყოველთვის ამომწურავად და კომპეტენტურად ითვლებოდა აფხაზეთში.

1920 წლის თებერვალში გრიგოლ ზუხბაიას თავმჯდომარეობით გაიმართა აფხაზი ინტელიგენციის ყრილობა (თანათავმჯდომარეები იყვნენ გ.ტ. ანჩაბაძე და დ.ი. გულია), რომელმაც მოისმინა აფხაზეთის სახალხო საბჭოს მუშაობის ანგარიში და განიხილა მოპაჯირობის საკითხი. ივნისში კი ამავე ინტელიგენციის ყრილობაზე ჩამოყალიბდა **“აფხაზი მოპაჯირების საქმეთა სოხუმის ცენტრალური კომიტეტი”**, რომლის შემადგენლობაში შევიდა გრიგოლ ზუხბაია. ყრილობამ აღნიშნა: თურქეთში დღეს მცხოვრებას აფხაზებმა სამშობლო დატოვეს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, სამხედრო ძალის დაწოლით. ახლა კი მოპაჯირებს სამშობლოში დაბრუნება სურთ.

გრიგოლ ზუხბაიას კალამს არაერთი საინტერესო სტატია ეკუთვნის ადამიანის უფლების დაცვის ხაზით. მის ერთ-ერთ წერილში **“ელგეია”**, აქტიური აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი სიღამაზეა დღეის მიერ შექმნილ ბუნებაში, მკარამ უსამართლობის გამოისობით მრავალი ადამიანი იჩაგრება: **“ჯადოსნურ სიბნელეში ჩაინთქა ქვეყანა, და მთვარემ თავი გამოყო ღრუბლებიდან, რათა მკრთალი ნათელი დაეფინა დიდი ქალაქის ქუჩებისა და სახლებისათვის, რომელსაც აღმასივით ბრჭყვიალა თოვლის თეთრი თხელი ქურთუკი ემოსა. რამდენი უბედური ადამიანი ფხიზლობს ამ ქალაქში, რომელსაც ყელში ბურთად აქვს მობჯენილი უსამართლობის განცდა”**. სახალხო დამცველს დიდად აწუხებდა ადამიანების ვარაძი. მისი ცხოვრების წესი მიაჩნებდა, რომ გრიგოლ ზუხბაია უსამართლობასთან შეურიგებელი ადამიანი გახლდათ. მაშინ, როცა სოხუმის მილიციის კომისრად მუშაობდა, მან მოუწოდა აფხაზეთის მრავალეროვნულ მოსახლეობას, რომ ყოფილიყვნენ ტოლერანტულები ერთმანეთის მიმართ. იმდენად დიდი იყო მისი ავტორიტეტი, რომ მას არ შეეხებია 1930-იანი წლების რეპრესიების მსახვრალი ხელი.

გრიგოლ მათეს ძე ზუხბაია გარდაიცვალა 1952 წელს. დასაფლავებულია ქალაქ სოხუმში.

პედაგოგი-განმანათლებელი ნინო თომას ასული დიღია-შერვაშიძე

ქალბატონი ნინო დიღია-შერვაშიძე გახლდათ გამოჩენილი აფხაზი პედაგოგი და განმანათლებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი, მრავალი ღირსეული მოქალაქის აღმზრდელი და დამკვალიანებელი. მთელი მისი შეგნებული სიცოცხლე და მოღვაწეობა დაკავშირებული აფხაზეთთან, სადაც იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მის სახელსა და ხსოვნას დღესაც მოწიწებით ეპყრობა მთელი აფხაზი ერი.

ნინო დიღია-შერვაშიძე დაიბადა 1881 წლის 14 ოქტომბერს აბაშის რაიონის სოფელ კეთილარში. ბავშვს თითქოს დაბადებიდან დაჰყვა სწავლის ნიჭი – 17 წლის ასაკში წარმატებით დაამთავრა თბილისის მე-3 ქალთა გიმნაზია, რომლის შემდეგ განათლებას ეუფლებოდა ქალაქ ქუთაისში, სადაც ეზიარა პედაგოგის სპეციალობას. ამის შემდეგ, ჯერ ქუთაისის სკოლებში მასწავლებლობდა, მერე კი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და იქ ასწავლიდა.

1913 წლის მიწურულს ნინო დიღია ცოლად გაჰყვა მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძეს (ჩანბას) – მეფის არმიის პოლკოვნიკს, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეს, სწავლულს, ადამიანს, რომელმაც პირველმა შეადგინა აფხაზეთის გეოგრაფიული რუკა **“აფხაზი ახსაალა”**. მათი ქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძე ფრონტზე გაემგზავრა. იგი დაინიშნა მოსკოვის მე-4 გრენადერთა პოლკის მეთაურად, რომელიც იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე. 1916 წელს ნინომ ქალაქ პეტერბურგში დაამთავრა მოწავლების დის კურსები და მოქმედ არმიაში წავიდა, რათა მისთვის ძვირფასი ადამიანის გვერდით ყოფილიყო.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ნინო დიღია-შერვაშიძემ და მისმა მეუღლემ აფხაზეთში დაიდეს ბინა. სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა მათი ერთად ყოფნა – მიხეილ შერვაშიძეს ტიფი შეეყარა და იგი 1919 წელს თბილისის მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ნინოს მთელი სიცოცხლე ასსოვდა მომაკვდავი მეუღლის დანაბარები: **“ჩემო ძვირფასო, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ. აფხაზი ხალხი, რომელიც მე ყოველთვის საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა, ამჟამად განათლებას ძლიერ მოკლებულია. ნუ დაზოგავ ნურც ძალიანსმეყვას, ნურც სახსრებს, მოუყარე თავი აფხაზ ბავშვებს და ასწავლე მათ წერა-კითხვა...”** ნინო სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა მეუღლის ამ ანდერძისა.

დაქვრივებულმა ქალმა მეუღლის ცხედარი, ყველა ქრისტიანული წესი დაცვით, სოფელ კეიტოლში გადმოასვენა და საგვარეულო სასაფლაო **“აშტაღუ”**-ზე მიუწინა სამარადქამო სამყოფელი, თავადაც იმ სოფელში დაიღობინა და აქტიურად შეუღდა პედაგოგიურ-აღმზრდელობით საქმიანობას. მძიმე უამი უდგა მაშინ ქვეყანას, შიმშილისაგან დასუსტებული ხალხი უბრალო დავადებებსაც კი ვერ უმკლავდებოდა. ძალიან დიდი იყო ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ე.წ. **“ისპანკის”** (გრიპოზული ეპიდემიური დაავადების უმძიმესი ფორმა, რომელიც ამჟამად ლიკვიდებულია) ეპიდემიის დროს მან შექმნა **“ავადმყოფთა კომიტეტი”** და სამედიცინო დახმარებას უწევდა აფხაზეთის დაავადებულ მოსახლეობას. სწორედ ქალბატონი ნინოს ძალისხმევითა და ინიციატივით შექმნა სოფელ კეიტოლში საავადმყოფო და აფთიაქი.

1919 წელს ნინო დიღია-შერვაშიძემ ღარიბ გლეხთა ოჯახებიდან შეაგროვა ბავშვთა ჯგუფი, რომლებსაც სოფელ კეიტოლის დაწყებითი სკოლა ჰქონდათ დამთავრებული და მოამზადა ისინი სოხუმის პედაგოგიურ სემინარიაში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. 1920 წელს, გაზეთ **“აფხაზიში”**, მომავალი დიდი პოეტი **იშა კოლონი** წერდა: **“...დიდი მადლობა მინდა ეუბნებო ქალბატონ ნინო თომას ასულ შერვაშიძეს, რომელმაც მე სასწავლებლად გამაგზავნა...”**. ამავე გაზეთში **დიმიტრი ბუღია** წერდა: **“ყველას, ვისაც სურს, რომ აფხაზეთში განათლებამ დაისადგუროს, დიდი მადლობა უნდა უბუფნას ნინო შერვაშიძეს, რომელიც ყველაფერს აკეთებს აფხაზი ბავშვებისათვის შესაბამისი განათლების მისაცემად”**.

1920 წელს ნინო თომას ასული დიღია-შერვაშიძე აირჩიეს აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების კოლორის მაზრის განყოფილების უფროსად და მისი ინიციატივით ოჩამჩირეში გაიხსნა ინტერნატი ღარიბი ოჯახის შვილებისათვის. ინტერნატი ეწყობოდა შეხვედრები აფხაზეთის განმანათლებლებელი მოძრაობის მონაწილეებთან **რამდენი მშაბასთან, პლატონ კამპანსკიტთან, პავლე პიშვასთან, ვახანია შრიფიასთან** და სხვებთან. **“თავისი ავტორიტეტით ნინო შერვაშიძემ მიადგია იმას, რომ ამ დაწესებულებისაგან აერიდებიან მენ-შევიკური მთავრობის რისხვა”** – იხსენებდა **ლემონტი ბოლანაძე**.

1921 წელს აფხაზეთის განათლების საქმეთა სახალხო კომისარიატი ნინო შერვაშიძეს აფხაზის თბილისში, ინსტრუქტორ-პედაგოგთა კურსებზე. 1922 წელს მისი ინიციატივით გაიხსნა აფხაზეთის ბავშვთა სახლი, რომლის დირექტორადაც თავად დაინიშნა. თავისი ფეხით დადიოდა აფხაზეთის სოფლებში, არჩევდა ბავშვებს. **“ეს იყო ჩემთვის უადრესად საპასუხისმგებლო სამუშაო, – წერდა ქალბატონი ნინო საკუთარ ავტობიოგრაფიაში, – დიდი შრომის ფასად ხდებოდა ყოველივე, რათა ეს ბავშვთა სახლი სანიმუშო გამხდარიყო მთელ საქართველოში”**.

ბავშვთა სახლის აღზრდილთა ერთ-ერთი პირველი თაობის წარმომადგენელი არქივოლაბახუა წერდა: **“მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარა ქალბატონმა ნინომ ბავშვთა აღზრდას, დედობრივ მზრუნველობას იწინადა თითოეულის მიმართ, მათი რიცხვი კი 50-ს აღწერებდა. ეს ქალი მართლაც სასწაულებს ახდენდა თავისი მცირერიცხოვანი კოლექტივით”**. შემდეგ იგი ახასიათებს ნინო შერვაშიძის პიროვნულ თვისებებს: **“იცავდა სადად, მაგრამ დიდი გემოვნებით, მხრებს ყოველთვის უფარავდა ნაქსოვი შავი ფერის მანდილი (რაც დაღუპული მეუღლის გლოვის სიმბოლო გახლდათ და სიცოცხლის ბოლომდე ატარა ოჯახის ერთგულმა ადამიანმა), გამოირჩეოდა ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით, იყო მკაცრი და მომთხოვნი, უპირველესად კი საკუთარი თავის მიმართ, სამსახურში ყველასადმი ერთნაირად თბილი დამოკიდებულება ჰქონდა”**.

1924 წლის მიწურულს ნინო შერვაშიძე გადაჰყავთ გაგრის საბავშვო სახლის დირექტორად, რომლის აღზრდილები შემდეგ თვალსაჩინო სპეციალისტები გახდნენ. სამთო ინჟინერმა **არძიშო ლაბაზაშვილმა**, ინჟინერ-მშენებლებმა **იკოლოტი ფაღაშაშვილმა**, **მეხანი ამიხაშვილმა**, **აბუშაშვილმა**, სახალხო არტისტმა **მიხაილ ზუხბაიამ**, დამსახურებულმა პედაგოგებმა **ილარიონ ლაბაზაშვილმა** და **ლემონტი ანბაშვილმა**, გამოჩენილმა ქორეოგრაფმა **გიორგი მუხაშვილმა**, ინჟინერმა **ვაჟაშვილმა** **მარჯანიამ**, **ნიკოლოზ კამუშარიამ** და სხვებმა მოიპოვეს ფართო აღიარება და მასების პატივისცემა. ისინი მუდამ მოწიწებით მოიხსენიებდნენ თავიანთი პედაგოგის სახელს.

ქალბატონი **ნინო დიღია-შერვაშიძე** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1966 წელს. დაკრძალულია ოჯახის საგვარეულო სასაფლაოზე.


ნინო დიღია-შერვაშიძისთან ადამიანები უდავოდ ამშვენებენ ქართულ-აფხაზურ ისტორიას. იგი ხალხის მეხსიერებას შემორჩა როგორც ქველმოქმედი, უკეთილშობილესი პიროვნება. მთელი სიცოცხლე უერთგულად დაღუპულ მეუღლეს და მისადმი სიყვარული მთელ აფხაზ ხალხს გადაუნაწილა. დედის სიყვარულით ევლებოდა თითოეულ აღსაზრდელს, აფხაზ ბავშვებს და ძალას არ იშურებდა მათ მშვენიერებად აღსაზრდელად! სასიხარულოა, რომ აფხაზი ხალხი დღესაც იმკის ამ დიდებული ბანოვანის შრომით მოყვანილ მოსავალს.

“ხალხისათვის ბაღმუშაი სიცოცხლე” – ასე ეწოდებოდა ქალბატონ ნინო დიღია-შერვაშიძისადმი მიძღვნილ, ჟურნალისტ ზაურ ბუტბას სტატიას, რომელიც გაზეთმა **“სოვეტსკაია აბხაზიაში”** გამოაქვეყნა 1975 წლის 3 სექტემბერს. ამ სამ სიტყვაში სრულადაა გადმოცემული შესანიშნავი მოღვაწისა და პიროვნების სიცოცხლის არსი.

ამის შესახებ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ავრცელებს.

ორგანიზაციის აღვოკატ მანანა კობახიძის განცხადებით, „არასამთავრობო ორგანიზაციები შევიკრიბეთ, რათა დაგვესახა გეგმა როგორ დავეხმაროთ იმ ადამიანებს, რომლებიც 26 მაისს განვითარებული მოვლენების დროს დაშავდნენ. გვირდა, დროულად დავეხმაროთ იურიდიული საკითხების გადაწყვეტაში. სწორედ ამ შეხვედრაზე ერთ-ერთმა უფლებათა დამცველმა მოგვაწოდა ძალიან შემაშფოთებელი ფაქტების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, აქციის დაშლის პროცესში კინოთეატრ „რუსთაველში“, სადაც უამრავმა ადამიანმა შეაფარა თავი, დაფიქსირდა ამორალური საქციელი. არიან მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ რამდენიმე სპეცრაზმელმა კინოთეატრის შენობაში ქალები გააუპატიურა“.

საქინფორმი დაუკავშირდა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ აღვოკატ მანანა კობახიძეს. „ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჯერჯერობით სიახლე არაფერია. ამ საკითხზე მუშაობს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მონაცემებს თვითონ გამოაქვეყნებს. ორგანიზაციის შესახებ მეტს ამ ეტაპზე ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა ეს არის საწმუნო და დაზუსტებელი ინფორმაცია“, – განაცხადა მანანა კობახიძემ ჩვენთან საუბარში.



ბერია XX საუკუნის საუბარო მენაქარი

თარგმანი როლანდ ჯალალაიასი

იგი იოლად მოიშველიებს მიზეზს". სამწუხაროდ, აღმირაღებმა და სამხედროებმა მეორე ვარიანტი აირჩიეს. ეს ხომ უშუალოდ მათ არ ეხებოდათ...

გაგა შვიდი წელი და ამ სიუჟეტის ყველა მონაწილე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს "ანტიბერიადას" ლიბრეტოზე დაწერილ "ხორუმში". ხელს შეუწყობენ იმ პოლიტიკურ "სცენარისტებს", რომლებიც დაუდლელად ქმნიდნენ მითებს ბერიას "დანაშაულობებზე". ბერიას კი არ ექნება თავის მართლების საშუალება, რადგან მას უაპელაციოდ ჩამოართმევენ არა მხოლოდ სიტყვის თქმის, არამედ სიცოცხლის უფლებასაც.

ბერია ყოველდღე იყო დატვირთული, მაგრამ მაინც ასწრებდა ყოველნაირი საკვანძო მომენტის გაკონტროლებას. დავუშვათ, ურალიდან, №817 კომბინატიდან, 1949 წლის აგვისტოში, ვოლგისპირეთში, მე-11 საკონსტრუქტორ ბიუროში უნდა გადაეტანათ ძვირფასი ტვირთი (უფრო სწორად, "ძვირფასი" კი არა – ფასდაუდებელი) – პლუტონის ბურთულა, რათა მისი გაზახვის პოლიგონზე გადატანის წინ ჩატარებული საკონტროლო მონიტინგის, და, ამ სალიტერო მატარებლის მოძრაობას ბოლომდე ადევნებს თვალს ლავრენტი ბერია. ეს არ გახლავთ არც მინდობილი საქმისა და არც საკუთარი თავის ზედმეტად დაზღვევა და არც უნდობლობა ქვეშევრდომებისადმი. და ეს არაა არც გადამეტებული პასუხისმგებლობა. ეს, ასევე – კომპეტენტურობა, იმის შეგრძნება, თუ როგორ შეიძლება გაუწიო დახმარება ადამიანებს, კონკრეტული დავალების კონკრეტულ მასშტაბში შესრულების საქმეში! იგი ხომ ბერია არის! იგი ყველაფერს ისე გადაწყვეტს, როგორც საჭიროა!

1948 წლის აპრილში სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროს ჩინოვნიკებმა ჩამოართვეს მე-11 საკონსტრუქტორ ბიუროს მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების გადაღების უფლება, იმ საფუძველზე, რომ გადასაღები ფილმების განაცხადში არ არის მითითებული "ზუსტი გეოგრაფიული კოორდინატები და ფილმის შემკვეთი ორგანიზაციის შესაბამისი დასახელება". გენერალი ზერნოვი და "ობიექტის" პოლიტგანყოფილების უფროსი რაზორენოვი თხოვნით მიმართავენ ლავრენტი ბერიას აღნიშნული საკითხის მოწესრიგების თაობაზე.

და იგი ყველაფერს აგვარებს... სულაპლატოვის №2 ბიუროში შედის ამერიკაში მოპოვებული "მასალები" საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის თაობაზე ქაღალტების – კლინტონსა და პენფორდში მდებარე "ატომურ" ქარხნებში დასაქმებული პერსონალისათვის. ბერია დაუყოვნებლივ უგზავნის ამ მასალებს მთავარ საბჭოთა "შეატომე" მშენებელს ან. კომაროვსკის, საესკებით გახაგები მინიშნებით – ჩვენ მათზე ხარისხიანად უნდა ვაშენოთ...

მაგრამ ყოველივე ეს ხომ ძალზე მოქმანცველია! თანაც, მას რომ სცოდნოდა, თუ როგორ "გადაუხდიდა მადლობას" მომავალი თაობა ამ თავდაუზოგავი შრომისათვის ათწლეულების შემდეგ?.. მაგრამ, რომელ მომავალ თაობებზეა საუბარი, როცა ოთხიოდ წლის შემდეგ მისი თანამედროვეები, სინდისის ქნჯნის გარეშე, ლაფში ამოთხებიან მის სახელს...

მართლაც სამწუხაროა, ყოველივე ეს, ამხანაგებო...

აი, თუნდაც მე-11 საკონსტრუქტორ ბიუროს უფროსის პ.პ. ზერნოვის წიგნი, რომელიც რუსეთის ფედერალურ პირთულ ცენტრშია გამოცემული, ქალაქ საროვში, სადაც ასახულია, თითქმის, მასა და ბერიას შორის წარმოქმნილი კონფლიქტი, 1949 წლის 12 თებერვალს:

"ტრადიციული "ტვინის გამორეცხვის" შემდეგ, რასაც თან ახლდა მუქარა და დედის გინება, ლავრენტიმ მე მთხოვა, რომ დავერჩენილიყავი (გაფართოებული თათბირის შემდეგ – ს.კ.), ზოგიერთი "წვრილმანის" დასახუსტებლად. და როცა მარტონი დავერჩიე, ბერიამ განცდების გულას პირი მოხსნა: დამხატვა სურდათ, როცა მე შეიძლებოდა პატიმართა ბანაკის "მტვრად" ვქცეულიყავი, თუ სამუშაო თუნდაც რომე-

ლიმე უბანზე ჩაგარდებოდა, და მით შემეტეს მაშინ, თუ სემი პალატინსკის პოლიგონზე ჩაგარდებოდა "მთავარი ექსპერიმენტი".

რამდენიმე წუთი უხმოდ ვიდექი, შემდეგ კი მოხდა ჩემთვის დაუფერებელი რამ – ხელებმა მაშინაღურად გაიწიეს საწერ მაგიდაზე მდგარი მასიური სასანთლისაკენ, მძიმე ნივთი ხელში ავწიე და მის თავს ზემოთ აღვმართე...

შემცბარი ბერია კედელს მიეხეთქა, სწრაფად იძრო ოქროსსახელურიანი "ბრაუნინგი", მაგრამ მის ამ მოქმედებას გასროლა არ მოჰყოლია. როგორც ჩანს ბერიამ სწრაფად გაიანზრა, რომ ბომბის გამოცდამდე ჩემი ლიკვიდირება სტალინის გულისწყრომას გამოიწვევდა...

ბერიამ კიტელი შეისწორა და კბილებში ბოროტად გამოსცრა:

– კეთილი, შე არამზადავ! ცოტას კიდევ მოვიცდი! ვნახავ, ერთი, რითი დამთავრდება შენი ბირთვული ექსპერიმენტი!"

"მერე რა? – იკითხავს მკითხველი ამ სტრიქონების გაცნობის შემდეგ. – ეს ხომ იმ ადამიანის მონდომებაა, რომელსაც ბერია კიდევ ერთხელ "გაშვება" უნდა. თანაც, ამას აკეთებს საბჭოთა ატომური პროექტის ისეთი მსხვილი სპეციალისტი, როგორიც იყო პავლე მისხილის ძე ზერნოვი".

მაგრამ მოდით, ყურადღებით მივაღწევოთ თვალს ბერიას სახელისა და ღირსების დისკრედიტაციის ამ "უნიკალურ" შემთხვევასაც, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე გვაქვს ლავრენტისთან დაკავშირებული კიდევ ერთი მითიური ამბავი.

მაშ ასე...

პირველი ატომური "ექსპერიმენტის" ჩატარების შემდეგ "პავლე მისხილის ძე ზერნოვი, ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, №11 საკონსტრუქტორ ბიუროს უფროსი, სხვებთან ერთად, სსრკ მინისტრთა საბჭოს №5070-1944cc დადგენილებით, ლავრენტი ბერიას მიერ წარდგენილი იქნა სოციალისტური შრომის გმირის წოდებაზე და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით მიენიჭა ეს მაღალი წოდება" (1954 წელს იგი მეორედ გახდა სოციალისტური შრომის გმირი).

მართალია, "საქმის მცოდნეები" აღნიშნავენ, რომ ზერნოვი გმირის წოდებით დაჯილდოებული იყო ყოველგვარი მატერიალური წახალისებისა და შეღავათების გარეშე. მაშ რა, ლავრენტი ბერიამ ეს საქმე მართლაც ფორმალურად ჩაატარა? არა და არა! სსრკ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დოკუმენტის გულდასმით შესწავლის შედეგად, რომელშიც ასობით გვარი ფიგურირებს, რომლებიც სხვადასხვა ჯილდოსა და წახალისებაზე იყვნენ წარდგენილნი, ვრწმუნდებით, რომ იგივე №817 კომბინატის დირექტორმა ბ.გ. მუხრეგოვმა მიიღო მხოლოდ სოციალისტური შრომის გმირის მეორე ვარსკვლავი, ყოველგვარი მატერიალური წახალისების გარეშე. ასევე, მხოლოდ სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავით დაჯილდოვდა №12 ქარხნის დირექტორი ან. კალისტოვი. მაგრამ, მასთან ერთად გმირის ვარსკვლავით დაჯილდოებულმა №12 ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ნ.ფ. კვასკოვმა პრემიის სახით მიიღო 35.000 მანეთი, დაჯილდოვდა მეორე ხარისხის სტალინური პრემიით და ყველა სახის ტრანსპორტზე უფასოდ მგზავნილი.

კიდევ უამრავი მაგალითის მოშველიება შეიძლება...

ზერნოვი არ იყო მეცნიერი ან ინჟინერი, იგი ადმინისტრაციული ტიპის ხელმძღვანელი გახლდათ და მისი წახალისება საესკებით ტიპური მაგალითი იყო. თვით ბერიას დაჯილდოება კი მეტად მწირი და თითქმის შეუმჩნეველია... სოციალისტური შრომის გმირები ვანნიკოვი, მუხრეგოვი და ლუხოვი, პირველად, ქვეყნის ისტორიაში, ორგზის გმირები გახდნენ. სოციალისტური შრომის გმირი ბერია კი, რომელმაც ეს წოდება დიდი სამამულო ომის წლებში მიიღო, კვლავ ერთი ვარსკვლავის ამარად დარჩა.

გუბერნდებით რა მუხრეგოვთან დაკავშირებულ შემთხვევებში "ინციდენტს", რომელიც თითქმის მოხდა მასა და ბერიას შორის, დარწმუნებით ვამბობ,

რომ თვით ამ სიტუაციის სურათი აშკარად მოკლებულია სიმართლეს. ეს, თუნდაც მწვავე ეპიზოდი, არ გახლავთ ორი სახელმწიფო მოღვაწისათვის ტიპური და ალბათ სისხლის სამართლის დამნაშავეებზე გადაღებულ რომელიმე უგემოვნო ფილმის უფრო "დაამშვენებდა", სირცხვილია, რომ ასე დაამცირო და ქუჩის ვიგინდარებიც "ამხილო" ადამიანები, რომლებიც სტალინის გვერდით შრომობდნენ და მოღვაწეობდნენ... თანაც, კონფლიქტის აღწერა სრულიად არ ჯდება ზერნოვის ხასიათში. ისინი, ვინც ზერნოვს იცნობდნენ, ადასტურებენ, რომ მეცნიერს ხშირად მიუცია შენიშვნა თავისი კოლეგებისათვის, თუნდაც პირად საუბარში, სლენგის გამოყენების გამო (მაგალითად, ინჟინრები ზოგჯერ ამბობდნენ "გავალურჯოთ ქაღალდი", ნაცვლად იმისა, რომ ეთქვათ "გავაქოთოთ ნახაზის ასლი"), ასევე ეჩხუბებოდა თანამშრომლებს საფერფლეში დავაროვლი სიგარეტის ნამწვევების გამო... და, უცვებ ზერნოვი იმდენად ადელდება, რომ სასანთლეს წამოუსვამს ხელს თავისი დიდი უფროსის კაბინეტში, მისთვის თავში ჩასარტყმელად...

ისიც საინტერესოა, რა უნდოდა ბერიას კაბინეტში სასანთლეს? (არ შეიძლება არ გავეხსენოთ ისიც, თუ როგორ სწამებდნენ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს ბერიას, რომ დიდ რეჟისორს ევეგენი მიქელაძეს შამფური გაუყარა ყურში. საინტერესოა, რატომ უნდა ჰქონოდა ამხელა თანამდებობის პირს კაბინეტში შამფური? – მთარგმნელი). ბანქოს იგი არ თამაშობდა, ბანქოს თადლითებთან საქმე არასოდეს ჰქონია – ასე რომ, სასანთლეს არასოდეს გამოიყენებდა ვინმესათვის თავში ჩასარტყმელად. და რაც მთავარია, როგორ მოახერხებდა მაგიდასთან მჯდომი ბერია, რომ "კედელს მიხეთქებოდა" და თანაც, ამ ორმოტირალში "ბრაუნინგი" დაეძრო, და ისიც "ოქროსსახელურიანი"? საინტერესოა, როდისდა მოახერხა ზერნოვმა იმის დანახვა, რომ იარაღს ოქროს სახელური ჰქონდა? სიტყვისათვის, ტყვიებით სავსე სტანდარტული "ბრაუნინგი" ნახევარ კილოგრამზე მეტს იწონის, ხოლო "ოქროსსახელურიანი" (თუ ვინმე ასეთ სულელურ იარაღს გააქოვინებდა) ალბათ კილოგრამნახევარზე მეტს აიწონიდა. ეს უკვე იარაღი კი არა, სრულიად უსარგებლო სუვენირი იქნებოდა.

არც ისაა სიმართლე, რომ ბერია ყოველგვარი სასჯელის გამოყენებით ემუქრებოდა ზერნოვს. მისი რელი "ექსპერიმენტის" დროულად ჩატარების საქმეში არ იყო იმაზე დიდი, ვიდრე ჩვეულებრივი ქვეშევრდომისაა.

1948 წლის 23-დან 28 დეკემბრამდე საროვში, №11 საკონსტრუქტორ ბიუროში ჩავიდნენ ვანნიკოვი და კურნატოვი და ჩაატარეს თათბირები რიგ საკითხებზე, მათ შორის ატომური პროექტის სამუშაოთა მიმდინარეობაზე. თათბირებზე მოხსენებებით გამოდიოდნენ ი.ბ. ხარიტონი, ვ.ი. ალფეროვი, კ.ი. შროლკინი, გ.ნ. ფლიოროვი, ნ.ლ. ლუხოვი და სხვები.

გაფართოებული თათბირის ოქმში, სადაც იხილებოდა ათეულობით დიდი თუ მცირე პრობლემა, ადამიანებს ურიგდებოდათ კონკრეტული დავალებები, ზერნოვის გვარი პირველად გამოჩნდა ოქმის მე-12 პუნქტში (მე-15 პუნქტშიც). საკითხების არსი კი ამგვარი იყო: ზერნოვს უფლება ეძლეოდა რომ "მე-11 საკონსტრუქტორ ბიუროს ელექტროსადგურზე დაეგება 500-კილოვოტიანი ტურბოგენერატორი და გაეზარდა ელექტროსადგულის მიღების დიამეტრიც, მითითებულ სიდიდემდე"...

საეჭვოა, რომ "ატომური პროექტის" სამუშაოთა მიმდინარეობა დიდ შეეფერებინა იმას, თუ ელექტროსადგურზე დროულად არ დადგებოდა "სასურველი კვეთის მქონე მილები"... 1949 წლიდან ზერნოვი სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა "ობიექტს" და ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ აღწერილ დროს ზერნოვი დღის არაფერს წარმოადგენდა და ბერიას სრულიად არ დასჭირდებოდა მისი დაშინება "ბრაუნინგით"...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაგრძელადი თვალსაზრისი — გეგრელთა საქმეზე

გაგრძელადი თვალსაზრისი — “გეგრელთა საქმე”, რომელიც ლენინგრადის ექიმთა საქმეების შემდეგ გახმაურებული მოვლენაა საბჭოთა სისტემაში. იგი იოსებ სტალინის სახელთანაა დაკავშირებული.

ბრალდება

დაპატიმრებულითა მიმართ წაყენებული ბრალდების არსი შემდეგში მდგომარეობდა: ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, მფლანგველთა და დამტაცებელთა მფარველობა, უცხოეთის დაზვერვასთან და საზღვარგარეთულ მენშევიკებთან კავშირი, სამშობლოს ღალატი — საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფის მიზნით შეთქმულების მოწყობა.

გამოძიება კანონის უხეშად დარღვევებით მიმდინარეობდა, უხომოდ გამოკაცრდა პატიმართა ციხეში ყოფნის რეჟიმი, ტუსაღებს მხოლოდ განსაზღვრულ საათებში აძინებდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ რათა ელიარეზინათ დანაშაული.

საინტერესოა პარტიის ზუგდიდის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის გრიგოლ ჩაიბაძის მონათხრობი აღნიშნულ საკითხზე. როცა ის ჩაეწერე, იგი ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკის დირექტორად მუშაობდა. მოგონებას თვალცრემლიანი მიყვებოდა: “ერთადერთი ხელნახატი, რომელიც გამოძიებას ჰქონდა, ბარამიას სამეგრელოს რეგიონის პარტიკომის პირველ მდივნთან შეხვედრა იყო ღებარდეს გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის თაოსანი მეც ვიყავი და გამოძიებამ ჯოხი ჩემზე გადატეხა. უნდოდათ მედიარეზინა, რომ ამ შეხვედრაზე გადაწყვეტა ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შექმნა, რასაც ვერ მიაღწიეს. სინამდვილეში საქმე შემდეგში იყო — კურორტ ღებარდეს დამსვენებლებს უგზოობა აწუხებდათ, ღებარდეს გეგეჭკორის (მარტვილის) რაიონის ტერიტორიას განეკუთვნებოდა, მისმა პირველმა მდივანმა პართენ კოთხიშვილმა მთხოვა დაეხმარებოდნენ, რათა კურორტამდე საავტომობილო გზა გაგვეყვანა. ჩავედი თბილისში, ვთხოვე მიხეილ ბარამიას კოორდინაცია გაეწია ამ მეტად კეთილშობილი საქმისათვის. დაგეთანხმდა, ჩამობრძანდა და მარტვილში, სადაც შეკრებილი ვიყავით სამეგრელოს რეგიონის პარტიკომის პირველი მდივნები, ავედით ღებარდესში. იქ დაგვხვდნენ საგზაო ინჟინრები, რომელთაც შედგენილი ჰქონდათ მშენებლობის გეგმა და რაიონებზე მათი განაწილება. ბარამიას პირობა მივეცით, რომ თითოეული რაიონი მასზე მიიწველ მონაკვეთს შემზღვერებულ ვაგონში დაამთავრებდა, მობრუნებულებმა მარტვილში ვისაუბრეთ და მეორე დღესვე შევუდგით მუშაობას. იგი ისეთი ტემპით წარიმართა, რომ ერთ თვეში — ივლისის თვის დასაწყისისათვის დამთავრდა და დამსვენებლები ყოველგვარი შესვენების გარეშე ავტომანქანით ავიდნენ ღებარდესში, რომელიც განთქმული იყო პავითა და სამკურნალო მინერალური წყლებით. შემდგომ წლებში ზუგდიდის, მარტვილის და ჩხოროწყუს რაიონებმა მათზე მიიწველ უბრუნებელი უზრუნველყოფის დასასვენებელი სახლების მშენებლობა. ღებარდეს ხალხმრავალი, კეთილმოწყობილი კურორტი გახდა. სწორედ ამას თვალისწინებდა ბარამიასთან ჩვენი შეხვედრა და მას არავითარი სხვა მიზანი არ ჰქონია. რუხაძემ ბარამიას ჩამოსვლა და პირველ მდივნებთან შეხვედრა გამოიყენა მეგრელთა საქმის ასაგორებლად და სტალინის დასარწმუნებლად.”

დასაწყისი, რომ ღებარდეს დღეს უკუარადლებოდ არის დარჩენილი, 90-იან წლებში იგი განანაგდა, მიწასთან გასწორდა. საჭიროება მოითხოვს კურორტის ხელახალ კეთილმოწყობას, რაც საქართველოს ხელმძღვანელობაზე არის დამოკიდებული.

გამოძიებამ არაადამიანური მეთოდების გამოყენებით მიაღწია იმას, რომ დაპატიმრებულებს ელიარეზინათ მეგრული ნაციონალური, ანტიპარტიული ჯგუფის არსებობა, მაგრამ არამც და არამც საზღვარგარეთთან კავშირი. სხვა გამოსავალი მათ არ ჰქონდათ. ერთადერთი პიროვნება, რომელთანაც გამოძიებლები ვერაფერს გახდნენ, კონსტანტინე ჭიჭინაძე გახლდათ. მას მისი ბიძაშვილის შოთა ჭიჭინაძის სახლში შეეხვდი ლესიჭინეში და აღნიშნულზე საინტერესო მონათხრობი ჩაეწერე: “ბოლო დროს ქართველი

გამომძიებლები ჩემთან რომ ვერაფერს გახდნენ, მოსკოველები მომიჩინეს. ცეკოვმა მიაღწია იმას, რომ ჩემს საკანში ბარამია მოეყვანათ, რათა აღიარებისთვის ხელი მომეწერა. ბარამია იძულებული იყო ჩემთან რუსულად ესაუბრა, მე მასაც კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიე, მაინც ჩემთან საუბარი მეგრულად დაასრულა (ქვავალე — შემოეკვლე). მაშინვე რუსი გამოძიებელი მომვარდა, შემანჯღრია და მიბრძანა — ამოყაჭებარამიამ რა გითხრაო. მე ვუთხარი: აღიარება მთხოვა, რასაც ვერ ეღიარებოთ-მეთქი”.

როცა გამოძიება დასასრულს უახლოვდებოდა, შედეგებზე სტალინს მოახსენა ოგოლცოვმა — “მეგრელთა საქმის” მონაწილენი გამოაშკარავებულიაო. სტალინმა უპასუხა: “თქვენ მხოლოდ ჭიჭინები მოაყოლეთ ბადეს, ღლავი კი ლაღად დაცურავსო, ეძებთ დიდი მეგრელიო”. ბუნებრივია, იგულისხმა ღაერენტი ბერია. ამიტომ ბერია ფრთხილობდა. იგი სტალინმა საქართველოშიც გამოაგზავნა პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რათა გატარებული ყოფილიყო რადიკალური ღონისძიებანი.

ხელმძღვანელობის შეცვლა

1952 წელს საქართველოს ხელმძღვანელობა არსებითად შეიცვალა. 25 მარტს საქართველოს კომპარტიის ცეკას მთელი ბიურო მოსკოვში გამოიძახეს პრეზიდიუმის სხდომაზე. აღინიშნა, რომ 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილება საქართველოში არაღამაკმაყოფილებლად სრულდება და მიღებული იქნა ახალი, მეტად მკაცრი დოკუმენტი — სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება “საქართველოს კომპარტიაში საქმის მდგომარეობის შესახებ”. დადგენილებით კანდიდ ჩარკვიანი განთავისუფლდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის თანამდებობიდან და გაწვეული იქნა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში. 1952 წლის 11 აპრილს პოლიტბიურომ ჩარკვიანი სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად დაამტკიცა. ამით დასრულდა კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობის ცამეტწლიანი პერიოდი და დაიწყო ა. მგელაძის ერთწლიანი მმართველობა. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დაამტკიცეს.

აკაკი მგელაძემ 1952 წლის 26 მაისს ჩაატარა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 27 მარტის დადგენილების ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად. აქ მიღებულ იქნა დახურული წერილი, რომელიც განიხილეს პირველად ორგანიზაციებში და რაიკომის პლენუმებზე. ა. მგელაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნობიდან გაანთავისუფლა რაფიელ კვირკველია და აპარატიდან დაითხოვა მეგრული გვარის მქონე სხვა პირები. მგელაძემ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მოიწვია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და პირველი მდივნის თანამდებობიდან მოხსნა მამია ზოდელავა, მდივნად დანიშნა მეგრელი შვილი.

“მეგრელთა საქმის” დასასრული

“მეგრელთა საქმის” გამოძიება ჩვეულებრივი ტემპით მიმდინარეობდა. “დიდი მეგრელის” ძებნასა და მისთვის ბრალდების წაყენებას ბოლო არ უჩანდა, რადგან არავითარი სამხილი გამოძიებას არ ჰქონდა. საინტერესოა, როგორ მოხდა დაპატიმრებულ მეგრელთა უდანაშაულობის დამტკიცება. არასწორია აზრი, თითქოსდა სტალინი რომ არ გარდაცვლილიყო, პატიმარ მეგრელებს დახვრეტა, ხოლო სამეგრელოს აყრა და გასახლება ემუქრებოდა. ბერია სტალინის სიცოცხლეშივე მიიღო თანხმობა აღნიშნული საქმის მშვიდობიანად მოგვარებაზე. მის ნათელსაყოფად გთავაზობთ კანდიდ ჩარკვიანის ნაამბობს, რომელიც მაშინ ჩაეწერე, როცა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობდა. მოვეხსინით მას: „1952 წლის ივნისის პირველ რიცხვებში სტალინის მისაღებად ვიციდიდი. სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი ვიყავი და პოსკრებიშვილთან სასაბჭოო შეხვედრის კარი გაიღო და ღაერენტი ბერია შემოვიდა. მას განრისხებული სახე ჰქონდა

და ჩემთვის არც კი შეუხვდავს, ისე შევიდა გვერდითი ოთახიდან სტალინის კაბინეტში და მთელი სამი საათის განმავლობაში იქ იყო. როცა ბელადის კაბინეტიდან გამოვიდა, გაბრწყინებული სახე ჰქონდა. მოგვესალმა, ხელი ჩამოგვართვა და დაგვემშვიდობა. სტალინმა პოსკრებიშვილს უხმო და სთხოვა უშიშროების მინისტრის გამოძახება. მათი საუბარი პოსკრებიშვილის თანდასწრებით მიმდინარეობდა. საუბრის არსი ბერიას მოთხოვნის გადამოწმება იყო, რადგან მას “მეგრელთა საქმე” შეითხინილად მიაჩნდა და დაუფრენებლივ დაპატიმრებული განთავისუფლებას ითხოვდა. პოსკრებიშვილმა ზემოთ დასახელებული შეხვედრის შემდეგ მითხრა: “მეგრელთა საქმეზე” სიტუაცია ძირფესვიანად შეცვლილია და მეტად საინტერესო მოვლენების მომლოდინე გაგხდებითო. პოსკრებიშვილთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა და იგი საქართველოს შესახებ საინტერესო საკითხებს არ მიაღწავდა”.

ბერიასთან შეხვედრის შემდეგ სტალინი თანდათანობით ხვდება, რომ “მეგრელთა საქმე” პროვოკაციული გამოჩანადი და პირადი შეცდომა იყო. ამასთან დაიწყო გამოსავლის ძებნა. გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ნიკოლოზ რუხაძე, რომელიც მისი განკარგულებით ჯერ განთავისუფლეს თანამდებობიდან, შემდეგ მოხსნეს და დააპატიმრეს. უშიშროების მინისტრად დანიშნა ალექსანდრე კოჭლავაშვილი. სტალინმა მას დაავალა “მეგრელთა საქმეზე” გაეკეთებინა სრული ანალიზი და წარმოედგინა. ახალმა მინისტრმა ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და მოუთხრა მის აბსურდულობაზე. მასაღები ბელადმა 1952 წლის თებერვლის ბოლოს მიიღო, ამასთან უშიშროების მინისტრს მისცა დავალება მოსკოვში მასთან შესახვედრად ჩამოეყვანათ ბარამია და რამდენიმე მისი “თანამშრომელი” ხელმძღვანელი მუშაკი. მათი განთავისუფლება გარდაუვალი იყო. ამრიგად, სტალინმა ბერიასთან შეხვედრის შემდეგ, გააკეთა რა ანალიზი, დარწმუნდა, რომ იგი მოტყუებული დარჩა მისი ახლობლებისაგან — ეგნატაშვილისა და ელისაბედაშვილისაგან, აგრეთვე რუხაძისა და მგელაძისაგან, რომლებიც “მეგრელთა საქმის” შეთხინის მიზეზი გახდნენ, რითაც ხალხს მიაყენეს შეურაცხყოფა.

ამრიგად, დაპატიმრებული მეგრელების განთავისუფლება სტალინმა თვითონ თავის სიცოცხლეშივე გადაწყვიტა და, ბუნებრივია, მეგრელებს საქართველოდან გასახლება არ ემუქრებოდა. სტალინი 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა, ის, რაც მან ვერ მოასწრო, ღაერენტი ბერიამ ბოლომდე მიიყვანა.

პატიმართა განთავისუფლება

სტალინის გარდაცვალების შემდეგ სასწრაფოდ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა, სადაც მოხდა ხელმძღვანელობის განაწილება, ბერია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მაღენკოვის პირველი მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. 1953 წლის 8 აპრილს ბერიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს მისწერა წერილი “ე.წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის არასწორი წარმოების შესახებ” და მოითხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 9 ნოემბრის და 1952 წლის 27 მარტის დადგენილების შეცვლა, პატიმრების განთავისუფლება მათი პირადი რეაბილიტაციით. მანვე დააყენა საკითხი სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 16 ნოემბრის დადგენილების “საქართველოს ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გადასახლების შესახებ” და ყველა გადასახლებულის უკან დაბრუნების თაობაზე.

ბერიას წერილის საფუძველზე 1953 წლის 10 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო მკაცრად საიდუმლოდ დადგენილება “ე.წ. “მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის ფალსიფიკაციის თაობაზე” და დაადგინა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 9 ნოემბრის და 27 მარტის დადგენილებები გამოგონილია და შეთხინილია, დაპატიმ-

რებულები უნდა განთავისუფლდნენ სრული რეაბილიტაციით, ხოლო საქმე მათ მიმართ წარმოებით შეწყდეს. ცნობად იქნა მიღებული, რომ გამოძიების ფალსიფიკაციისათვის მოხსნილი და დაპატიმრებული არიან მისი მონაწილენი. აგრეთვე გაუქმდა დადგენილება საქართველოდან ქართველი ელემენტების გადასახლების შესახებ, რომლის თანახმად გადასახლებას დაექვემდებარებოდა ყველა ოჯახი, რომლის წევრებიც ყველ იყვნენ ნამყოფი 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს, რითაც 11200 მოქალაქე გადასახლეს შუა აზიაში. აუტანელი პირობების გამო მათი ნაწილი იქ დაიღუპა. დანარჩენები კი მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ. საეჭვოა, სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ბერიას შესძლებოდა გადასახლებული ქართველების დაბრუნება.

1953 წლის მარტის შუა რიცხვებში, “მეგრელთა საქმესთან” დაკავშირებული პატიმრები თბილისიდან სპეციალური ვაგონით მოსკოვში უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში გადაიყვანეს, საიდანაც აპრილის თვეში სრული რეაბილიტაციით განთავისუფლეს. მათი აღვილი ლეფორტოვოში ცეკოვმა და მისმა ბიჭებმა დაიკავეს.

განთავისუფლების მომენტს საინტერესოდ აგვიწერს ანტოფო ჭეკია: “პატიმრები ციხის დარბაზში გადაგიყვანეს და სამუბზე დაგვყვეს. კარი გაიღო და შემობრძანდა ღაერენტი ბერია, რომელიც მეგრულად მოგვესალმა: “გამარჯობათ, მარგალეფი! მუჭო რეთ თქვა ცოდვეთ, შური ქოდიღნანო? ამდღარიშე თავისუფალი რეთ, ჯგირო მიძირდათ” (გამარჯობათ, მეგრელეფო! როგორ ხართ, თქვე საცოდავებო, სული გიდგათ? დღეიდან თავისუფალი ხართ, კარგად მენახეთ). ბერიას გასვლისთანავე დარბაზში ჯერ სიჩქემე დაისადგურა, შემდეგ ერთმანეთს გადაეხვიეთ, ვიცინოდით, ვტიროდით, არ ვიცოდით რა გვექნა. გამოგვიცხადეს, გამოსასვლელთან ტრანსპორტი გელოდებოთო, რკინიგზის სადგურში კი ჩვენთვის დაჯავშნული ვაგონი იდგა. უმრავლესობა იმავე სადამოს გამოემგზავრა თბილისისაკენ, ნაწილი კი ადგილზე დარჩა საქმეების მოსაგვარებლად”.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 10 აპრილის დადგენილებით მგელაძე მოიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან და პირველ მდივნად პატიმრობიდან განთავისუფლებული ალიოშა მირცხულავას მიეცა რეკომენდაცია, რომლის არჩევას ხალხი ადფრთოვანებით შეხვდა. სამუშაოს გარეშე არცერთი განთავისუფლებული მეგრელი არ დარჩენილა.

“მეგრელთა საქმის” დასრულების შემდეგ მოსკოვში საქმეში უკუღმა წარიმართა, კრემლში ხელმძღვანელობისათვის განაღებულ დაუნდობელ ბრძოლაში ბერია დამარცხდა. ის, რაც მის მიმართ ვერ შესძლო სტალინმა, ხრუშჩოვმა და მისმა ხროვამ განახორციელა. ბერიას დაღუპვაზე სხვადასხვა აზრი არსებობს, სერგო ბერია თავის წიგნში წერს: “1953 წლის 19 ივნისს ბერლინში მოხდა აჯანყება ოტო გროტეფელის მთავრობის დასამხობად. ხრუშჩოვმა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი იყო, მისი ჩაქრობა ბერიას დაავალა. მოსკოვში დაბრუნებისთანავე იგი საკუთარ კაბინეტში მოკლეს. რაც შეეხება სასამართლო პროცესს, იგი ნამდვილი დადგმა იყო. ბერიას ორეულმა ჯილდოს ნაცვლად შუბლში ტყვია მიიღო”. სერგოს მოყვას აგრეთვე ქუეკოვის ნათქვამი, რომ მას დაპატიმრებაში მონაწილეობა არ მიუღია, განსაზღვრის სკამზე მამაშენი არ იჯდაო. სასამართლო პროცესს საქართველოს პროფსაბჭოს იმდროინდელი თავმჯდომარე მიტროფანე კუჭავა ესწრებოდა, რომელმაც საიდუმლოება საფლავში ჩაიტანა. ამდენად, “დიდი მეგრელის” დაღუპვა კრემლის საიდუმლოებებს შეემატა.

“მეგრელთა საქმეს” როგორც ყალბ დოკუმენტს ისტორია არ დაივიწყებს, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა თაობებს მასზე სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ.

ვალერიან ახალაია, ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი

ქაჯთა ბნიასი

(გაგრძელებით ჩვენი მეგობრისა და თანამებრძოლის, გულანთეხული ქართველი პატრიოტის, კახეთის ულამაზეს კუთხე ქიზიყში აღზრდილი ვაჟაკი მწერლის კივი სომხიშვილის მოთხრობას).

— ეგ ისეთი უბოროტესი ვერაგი არის, რომ ჩემთან საუბარს იმსახურებს. გამოუშვით! — ბრძანა ბელზებელმა და სკამზე შესწორდა.

— გამიშვით ზევით, უწმინდურ-უფერაგეს-უბოროტესო! რომ ადამიანთა უბედურების ქარბორბალა დაეატრიალო! — მარჯვენა ხელის ფაშისტური აქნევით მოახსენა პიტლერმა.

— ახლა ის დრო აღარ არის, ჩემო ნაკელის ხოჭო, შენი მეთოდები ძველია. მე ზევით შენზე უკეთესი ახალი თაობა მყავს, მუხთლობით რომ გააკვირვებენ ეშმაკს, — დინჯად უპასუხა ბელზებელმა.

— ჩემზე მაგრები როგორ უნდა იყვნენ, როცა მე ადამიანთა მოღვაწე შევაძრწუნე და კინაღამ სიბერე შევეყრე! — გაიოცა პიტლერმა.

— კარგი, მაშინ მე გეტყვი: გახსოვს? ებისკოპოსი გალენის დაპატიმრება რომ ბრძანე და ეს-ესელებმა ვერ გაბედეს, რადგან ხალხმა მის წინ დაიხოცა და მხარი დაუჭირა.

— მახსოვს, როგორ არა, — პიტლერმა ხსოვნის მტვერში მოძებნა ეს ამბავი.

— საქართველოს ნაცისტებმა კი გლდანის ეკლესიის კარები სამხედრო მანქანით შეღწევს, უამრავ მრევლს თავ-პირი უუკვეს, ტადრის მოძღვარი გამოათრიეს და ციხეში შეაგდეს; ეს ყველაფერი მოელი საქართველოს დასაჩაბად, ტელევიზიით აჩვენეს. როგორია? — ბელზებელი პიტლერს მიაჩერდა.

— მთელმა საქართველომ რა ქნა? — იკითხა პიტლერმა.

— ხმა არავის ამოუღია, მოძღვარი კი კარგა ხანს აყურუჭტეს ციხეში.

— ვაა!!! — პიტლერი გაოცდა.

— კარგი. შენ რომ საქართველოს პრეზიდენტი ყოფილიყავი, გორში სტალინის ძეგლის აღებას თუ გაბედადი?

— ეგ იმ დეგენერატმა — ხრუშჩოვმა კი ვერ გაბედა, მე იმაზე გაცილებით ჭკვიანი ვარ, გორში სტალინის ძეგლის აღებით რომ გაგტალახებულყავი!

— იმან კი გაბედა და იმხელაზე ტუტუცია, რომ გატალახების არ მოერიდა. თავის სასაცილო შოუებზე იმდენ სისულელეს ყვება, რომ უკიდურესად გაჭირვებულ ქართველებსაც კი ახარხარებს, — ბელზებელი ფრიადოსანი მოსწავდის დამრიგებელივით ამაყად შესწორდა სკამზე.

— სტალინი ჩემზე მეტად არავის სძულს, მაგრამ გორში მისი ძეგლის ამღებს სადი აზროვნების გრამი ტვინიც არ ექნება. სამაგიეროდ, პატრონის ლუკმაზე დახარბებულ ტუტუცს შეუძლია ამგვარი თავქარიანი საქციელი, — განმარტა პიტლერმა.

— დღეს სწორედ ტუტუცი და თავქარიანი გეჭირდება, არაფრის რომ არ სცხევინა და ჩასვრილი ამაყად დატრახახობს თავის სისპეტაკეზე.

— ბევრი გვათ ასეთი ჩასვრილი? — ჰკითხა გაკვირვებულმა პიტლერმა.

— ქვეყნის ყველა უბანზე ვამრავლებ უკიდურეს მუხთლობის მკადრებებს, მაგრამ, ამ მხრივ, ყველაზე მეტად საქართველოში გამომართლა. შენ ხომ გქონდა პარტია ნაციონალ-სოციალისტების — “ფაშისტური”, ამით აქვთ ნაციონალური მოძრაობა — “ჯვაროსნული”. თქვენ სვახტიკით იწონებდით თავს, ამით ჯვაროსნული ხუთჯვრიანი დროშა მთელს დასავლეთს და თუ ასე გაუგრძელდა “გულიანობა”, თქვენს სვახტიკასაც დაიხმებენ. შენ ბოროტებას ემსახურებოდი და ამას გერმანელი ხალხის გაძლიერებით ახერხებდი. ესენი კი ბოროტებას, მუხთლობას, სიცრუეს, დაღატაკს და მომხვეჭელობას საქართველოს დაკნინება-დაბნელებისათვის იყენებენ. შენ ტყუილის თქმაც შეგეძლო შანტაჟიც და კარგი ავანტიურისტიც იყავი, მაგრამ ამითან ნივინც ვერ მოხვალ. შენ საბჭოთა კავშირს ბევრი რამ დააბრალე და თავს დაესხი, მაგრამ არ გითქვამს, რომ ომი საბჭოთა კავშირმა დაიწყო. ამით საკუთარ ხალხს ცხინვალში ომი დაუწვეს, მერე სამარტხვინოდ გამოიქცნენ და ახლა იძახიან, ომი რუსეთმა დაიწყო და ჩვენ გავიმარჯვეთო. როგორია? ხომ არიან ჩემი იდეების შენზე უკეთესი მსახურები?! — ბელზებელი კმაყოფილი დიმილთ მიაჩერდა.

— რუსეთი, ოხ, ეს რუსეთი. მაგის

გახსენებაზე ეკალს მაყრის. სტალინი არ ყოფილიყო, დავჭმუჭნიდი, დავფხრწავდი, მოვსპობდი! — პიტლერმა სიმწრისაგან ხელზე იკბინა. — რა გინდოდა დიდო უწმინდურობაზე! ჩემს ჭირად რად დამახვედრე რუსეთში სტალინი?! ორ კვირაში მთელ საბჭოთა კავშირს ნაცარტუტად ვაქცევდი და მერე გენახა დანარჩენების დაწოკება; მთელ მსოფლიოში უწმინდურობას ვაზეიმებდი! — პიტლერი აქვითინდა.

— ეხ, სტალინი უფლის რჩეულია, მე იმასთან ვერაფერს გავხდი. ეგ იმ ქართველი ხალხის შვილია, ვის მოსპობასაც საუკუნეთა განმავლობაში ვცდილობ და ჯერჯერობით ვერაფერს ვახერხებ, რადგან ისინი ღვთისმშობლის მფარველობაში არიან და სიკეთის მსახურნი ყველგან სპობენ ბოროტებას. სტალინის გენიამ კი ჩემი სატანური ჩანაფიქრები არარაობად აქცია. კაცობრიობის ჭირი — ფაშოზი მოსპო და მსოფლიო უწმინდურობის, ბოროტების, მუხთლობის და გამხვეცებისაგან იხსნა. იმ ჩემმა დაუძინებელმა მტრებმა — ქართველებმა გამრულად იომეს ჩვენს წინააღმდეგ. შენ რომ ბუნეკრში იმალეოდი, მეორე ქართველმა ქანთარიაშ რაიხსტაგზე დააბრუნა საბჭოთა კავშირის გამარჯვების წითელი დროშა. ეჰ, ყოფილიყო მაშინ სტალინის ადგილზე ის კრეტინი-ხრუშჩოვი, ან ის დეგენერატი — თავგყირიანი გორბაჩოვი. ერთ კვირაში დავანოქებდი რუსეთს და მთელ მსოფლიოში სატანის ზეიმს დაგამკვიდრებდი; ახლა კი ყველაფრის თავიდან დაწვება მიწვეს, — ბელზებელმა ამოიხრია.

— ეხ, სტალინის გახსენებაზე შიშისგან ჭკუა მეკეტება. არა და, რა კარგად ავაწვევ ადამიანის გაზის კამერებში მოშთობა, კონცლაგერში წამება და ბოლოს თქვენი უწმინდურობის თესლის მოთესვა ფაშისტთა ნაკვალევზე. — პიტლერმა არეის ბოთლდამხსერეული ღვთის სინანულით დაამატა ნათქვამს.

— მაგ მხრივ დიდი სატრაბახო არა გაქვს. ას, პა, პა, სამას კაცს შეაგდებდი გაზის კამერაში, დააბოლებდი იქაურობას და ამ საქმეში უამრავი ხალხი გყავდა ჩართული. მეც კი არ ვიცოდი, რამდენი წელი დაგტყორღებოდა ადამიანთა მოღმის გაზის კამერაში გასატარებლად. ამერიკელებმა კი ერთი ატომური ბომბი ჩამოაგდეს პიროსიმაში და მთელი მოსახლეობა გოჭებივით შებრაწეს; ამას მეორე ქალაქიც მიაცილეს და იმდენი ხალხი გაუქვეს, რომ შენი გაზის კამერებით ათწლეულობით ვერ დაეწოდი მათ სატანურ ნამოქმედარს. აქაც სტალინი რომ არ გადაგვლობებოდა და ამერიკელები საბჭოთა კავშირში შექმნილი ბომბით არ შეეჩერებინა, მერე გენახათ ჩემი ზეიმი. შენ ხომ ებრაელების მოსპობა გინდოდა, გვარიანადაც გაჟუჟე და ამით კაცობრიობის სიძულვილი დაიმსახურე. ამერიკელებმა კი მთლად ამოწვეტიტეს ინდიელები. მოხრდილი ადამიანის სკალპში ხუთ დოლარს, ხოლო ბავშვისაში სამ ალტევენდენ მკვლელებს. გადაჩენილი ინდიელები თავიანთსავე მიწა-წყალზე რეზერვაციებში შეყარეს პირუტყვებივით. ამისათვის მათთვის საყვედურის არავის უთქვამს. პირიქით, ადამიანთა უფლებების დამცველად და მსოფლიოში დემოკრატიის მდგრადებლად ითვლებიან. ამრიგად, ჩემო ნაკელის ხოჭო, შენი მეთოდებით სიკეთის, სიყვარულის და ბედნიერების მოსაპოვებლად ბრძოლა მოძველდა. ჩემს სამსახურში უნდა იყო და სახეზე სიკეთის დამცველის ნიდაბი გეფაროს; ხალხი აწამო, დაამშოო და გაჟუჟო ხალხის უფლებების დამცველის სახელით. ამგვარად, მეც ძალიან მიადვილდება ჩემი ჯადოქრობით ადამიანებისათვის განუკეთილმოების ძილქუშის შეყრა. პოდა, სანამ ისინი გონს მოვლენ, სუყველანი ბოროტების, ძალადობის, სიცრუის და გარყვნილობის ჭაობში ისე აფარბხალდებიან, რომ იქიდან კაცობრიობა ვეღარასოდეს გამოვა და დედამიწაზე ჯოჯოხეთის დამკვიდრებაში უფალი ხელს ვეღარ შეგვიშლის. ასეა, ჩემო ნაკელის ხოჭო, მზად იყავით ყველა ადამიანადები. მაღე კაცობრიობას ნიდაბმოსხნილები დავერვით და ქაჯთა გენიას დაგამკვიდრებთ! — ბელზებელი ფეხზე ადგა და პიტლერი გააცილა, რომელიც ფაშისტური ხელის აქნევით გამოემშვიდობა და მომავლის იმედით გათამამებული ჩახტა აღუდებულ კუპრის ორმოში, სადაც ამ ამბის გაგების შემდეგ ისეთი ჭკუმაღლობა ატეხეს, რომ ნაპირზე მოდარაჯე ეშმაკები დააფრთხეს.

ბიჭი სომხიშვილი, მწერალი, 2011 წლის მაისი

მართველბესა და აფხაზებს შორის ღარღვეული ნდობის აღდგენა აუცილებელია

წლები გავიდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვიდან. ჩვენს მიერ მიტოვებულ ადგილსამოყვებელში ფეხს იკიდებს გადამთიელი, ბედის მაძიებელი უცხო ტომები. თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე ქართველების მიერ დაცარიელებულ სოფლებში გაჩნდება რუსულ-კახაკურ-სომხური სტანიცები.

საქართველოს ცენტრალური ხელი-სოფლებისა და გაეროს რეზოლუციებით მოტყუებული მოსახლეობის უმრავ-ლესობამ დაჰკარგა შინაბრუნების იმედი და შეეგუა დევნილის მწერს ხვედრს. საბედნიეროდ, თუ სამწუხაროდ, დევნილთა ერთი ჯგუფი კარგად დამკვიდრდა დედაქალაქში თუ სხვა ადგილებში, აიშენეს და დაამშვენეს სახლ-კარი, ბევრი უკეთეს პირობებშიც კი ცხოვრობს, ვიდრე დევნილობამდე ცხოვრობდა. რასაკ-ვირველია, მათ უმრავლესობას არ ექნებათ აფხაზეთში დაბრუნების სურვილი, რადგან მესამედ მოუწვეს ცხოვრების თავიდან დაწყება.

19 წლის ლოდინის შემდეგ, როდესაც დევნილი მოსახლეობის შინაბრუნების არავითარი პერსპექტივა არ ჩანს, ჩვენ, დევნილობაში მყოფი უფროსი თაობის ღვაწლმოსილ წარმომადგენლებს, რომელნიც აფხაზ კოლეგებთან ერთად, ვუძღვებოდათ ომამდელი აფხაზეთის ცალკეული დარგების განვითარებას, უფლება არ გვაქვს გულხელდაკრევით შორიდან ვუყუროთ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც გადამთიელ უცხო ტომთა მიერ უმოწყალოდ ნადგურდება ჩვენი და ჩვენს წინაპართა შრომით შექმნილი ნაოფლარი, ნაამაგარი, როდესაც ღვივდება შუღლი ჩვენსა და იქ დარჩენილ აფხაზ თანამემამულეთა და ნათესავ-მეგობართა შორის. ამას ჩვენი მომავალი თაობაც არ გვაპატიებს.

ამ მიზნით შეიქმნა “აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი” (იგივე “ნდობის აღდგენისა და შერიგების ფონდი”), რომლის დამფუძნებლები არიან: ოლეგ ჯოლია (თავმჯდომარე), იასონ ფავლენიშვილი, ჯუმბერ ხუბუტია და მერბო მალდაკელიძე.

ფონდის ამოცანაა ხელი შეუწყოს სახალხო დიპლომატიის განვითარებას, აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენასა და დევნილთა მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებას.

ამ მიზნით უკვე დამყარდა კავშირი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ქართულ სათვისტომოებთან.

არსებულ ფონდთან შეიქმნა უხუცესთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეა კოტე მარშავა, მოადგილე — მამანტი ჯოლია, სადაც გაერთიანდნენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები, პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერები, მწერლები, ხანდაშეშული საზოგადოება, არა მარტო დევნილები, არამედ საქართველოს სხვა დასახლებული ადამიანები, რომელთა მოხანია ქართველ და აფხაზ ხალხს შორის ვიდაცის ბოროტი ნდობის დარღვეული ურთიერთობის, სრულიად ელემენტარული ადამიანური ნდობის, ტრადიციული, მეგობრული დამო-კიდებულების აღდგენისათვის განუხრელი ზრუნვა.

საბჭომ მასმედიის საშუალებით მიმართა აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს, რომელიც მალევე მიიღო მისმა თავაკმა კონსტანტინე ოზგანმა. მიმართვის სრული ტექსტი მაშინათვე გადასცა “რადიო თავისუფლებამ”. მიმართვას გამოეხმაურა ბატონი ოზგანი, რომელმაც ჩვენი საბჭოს შექმნა დადებითად შეაფასა.

ყველა ამ ღონისძიებას წინ უსწრებდა გადამდგარი პოლკოვნიკის, აფხაზეთის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბატონი მამანტი ჯოლიას სტატია გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” სათაურით “უნდა დაფიქრდეთ”, სადაც სხვა საჭირობოტო საკითხებთან ერთად ხაზგასმით წერდა, რომ “იმ მებრძოლებმა, რომლებმაც ჩინ-მედლები მიიღეს მძათა ომში, ეს ჯილდოები უკან უნდა დააბრუნონ”. აღნიშნულ სტატიას მოჰყვა დიდი გამოხმაურება!

ჩვენდა სამწუხაროდ, დღესაც არიან ადამიანები, ყოფილი მხედროვნელები და სხვა სამხედრო ჩინოვნიკები, რომლებსაც მოსწონთ ცხოვრება ავტომატის კაპანის გარეშე (აღბოთ გაუთავადი ნაჭურდელი) და მოურიდებლად გამოდიან გაზეთებში თუ ტელევიზიაში, რათა ომით დაიბრუნონ აფხაზეთის ტერიტორია. სამწუხაროდ, ასეთ გამოხვედრებს არავინ ეხმაურება.

აი, რას სწერს ბატონი სერგეი შამბა: “საქართველოსა და აფხაზეთს შორის

მეგობრობის აღდგენა შესაძლებელია. კონფორმაციული პოლიტიკის წარმოება სოხუმის ინტერესებში არ შედის. საქართველოს ხელისუფლებას ამაზე თანხმობა რომ განეცხადებინა, რეგიონში ახლა სულ სხვა ვითარება გვექმნებოდა, თავიდან ავიცილებდით სისხლისღვრას და ომს, დაიწყებოდა ჩვენს ხალხებს შორის ნდობის აღდგენის პროცესი... ურთიერთობა უნდა აღდგეს, რისთვისაც ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო... თუ მოვლენ იმ აზრამდე, რომ ტერიტორიის ძალით დაბრუნება არაფერს მოიტანს, იმედი მაქვს, ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა აღდგება, რაც ჩვენს ხალხებს შორის არსებობდა და მომავალშიც უნდა იარსებოს” (“ახალი თაობა”, 2009, 27 თებერვალი).

ასევე სოხუმსაც მოსწონს “ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ განზომილების მიმოხილვის თაობაზე რეზოლუცია”, რომელიც ევროპარლამენტმა 2011 წლის 7 აპრილს მიიღო.

რეზოლუცია მოუწოდებს ევროკავშირის სამსახურს ნდობის აღდგენისაკენ მიმართული უფრო მეტი ღონისძიების გატარებას... არაოფიციალურ კონტაქტებზე და კონსულტაციებზე განდგომილი რეგიონის საზოგადოებასთან.

მართალია, რეზოლუციები და მოწოდებები არც ევროკავშირისა და არც გაეროსგან არ გვაკლია, მაგრამ რეზოლუცია არ ჩანს. დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა 19 წელია გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. თუმცა, ახლახან მოვისმინე სახალხო დამცველის გამოსვლა პატიმრების საცხოვრებელი ფართის უკმარისობაზე. სასაცილოა. აბა, მივიდეს ლტოლვილთა სამინისტროში და წაიკითხოს საცხოვრებელი ფართის მთხროველ დევნილთა განცხადება, მათ შორის სამაშულო ომის ინფორმაციისა. პატიმრებს ვჯობნით იმით, რომ თავისუფალი სიარულის ნება გვაქვს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლტოლვილი მოსახლეობა ვერ დათმობს საერთაშორისო სამართლით მათზე მინიჭებულ უფლებამოსილებას, არ დათმობს საკუთარი ქონებრივი და იურიდიული უფლებების ძალადობრივად, მუხანათურად წართმევას და ყოველნაირ ზომებს მიმართავს ამ უფლებების აღდგენისათვის. დევნილები ადრე თუ გვიან აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ კარ-მიდამოებს, მაგრამ ისიც უნდა გავანახოთ, თუ როგორი იქნება ჩვენი თანაცხოვრება, აღდგება თუ არა მათ შორის ნდობის ფაქტორი.

სწორედ ყველა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა “აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი” და “უხუცესთა საბჭო”.

ჯერ ერთი — შეიძლება ვინმეს არ სურდეს აფხაზეთში დაბრუნება. მეორეც — შეიძლება ბრალი მიუძღვის ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტის დაწყებაში. უხუცესთა საბჭოში კი არჩეული არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ორივე მხარისათვის მისაღებია.

აფხაზეთის ხანდაშეშულ ძალუძოთ, სახალხო დიპლომატიის აქტივიზაციის გზით, პოზიტიური როლი შეასრულონ ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის კონფორმაციის აღმოფხვრის, ნდობის აღდგენისა და ტრადიციული მეგობრული დამოკიდებულებების აღდგენაში.

ამ მიზნით მიემართეთ აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავაკს ბატონ კონსტანტინე ოზგანს, რათა ახლო ხანში მოხდეს ჩვენი უხუცესთა საბჭოების შეხვედრა, და არა მარტო ჩვენი, არამედ ნათესავთა, მოგვარეთა და მეგობართა შეხვედრები.

ჩვენი უხუცესთა საბჭო დიდი ხანია ემზადება შეხვედრისათვის. ვიცით, ჩვენს შორის დიალოგი არ იქნება იოლი, მას სჭირდება დიდი გონება და ობიექტურობა, ზრუნვა საერთო ინტერესებისადმი.

ოღონა და საშარაშოს შორის ხშირად იყო კონფლიქტი, მაგრამ სახალხო დიპლომატია მოქმედებდა და იმარჯვებდა.

არ მჯერა და ვერც ვერაფერს დამაჯერებს იმაში, რომ ასე მალე შეიძლება გაქრეს საუკუნოვანი მეგობრობა აფხაზებსა და ქართველებს შორის.

მირიან ჯალაღონია, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის ერთგული აკადემიკოსი და საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია “ქალდეას” ნამდვილი წევრი — მწერალი.

როგორ მოვიგოთ არჩევნები

(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება
საარჩევნო კამპანიის პერიოდში)
ვაგერძელებთ პუბლიკაციებს ბეჭდვას
ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის
ზურაბ ჯამბურის ამავე სახელწოდების
წიგნიდან.

სლოგანი

საარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს **სლოგანი**. იგი არის ემოციურ ენაზე გადაყვანილი, მკაფიო და ადვილად აღსაქმელი კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ძირითადი იდეა, რომელიც მოკლე და კონკრეტული ფორმით არის გადმოცემული.

კანდიდატის გვარი სლოგანთან ერთად წარმოადგენს ინფორმაციის მინიმალურ ნაკრებს, რომელიც პრაქტიკულად წვევს სააგიტაციო კამპანიის ყველა ძირითად ამოცანას: უზრუნველყოფს კანდიდატის ცნობადობას, კანდიდატის ყოფნას საინფორმაციო ველში, ასევე მისი დადებითი სახის (იმიჯის) ფორმირებას და ა.შ.

ამრიგად, სლოგანის დანიშნულებას წარმოადგენს დაეხმაროს ამომრჩეველს გაიგოს და დაიმახსოვროს კანდიდატის (პარტიის) მთავარი საპროგრამო მიზანი. ამიტომ, სლოგანი ერთის მხრივ, უნდა ასახავდეს საარჩევნო კამპანიის მთავარ იდეას და მეორეს მხრივ, უნდა გამოირჩეოდეს მკვეთრ, დასაამახსოვრებელი ფორმით. მაგ. 2003 წ. საპარლამენტო არჩევნების დროს „**ნაციონალური მოძრაობის**“ მთავარი სლოგანი იყო „**საქართველო შევარდნაბის გარეშე**“. ეს კი იყო საზგაზნა იმისა, რომ „**ნაციონალების**“ მთავარი „**მიზანს**“ საქართველოში შევარდნადის ძირგამომთხრელი და კორუმპირებული რეჟიმის დემონტაჟი წარმოადგენდა. სწორედ, ამ მოქმედების (და არა მათი სიყვარულის) გამო დადგა საზოგადოების დიდი ნაწილი „**ნაციონალური მოძრაობის**“ გვერდით, რადგან ხალხი ითხოვდა ცვლილებებს და ცვლილებების გზა ამაში დაინახა.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებანი

საარჩევნო კამპანიის დროს **მასობრივი ინფორმაციის საშუალებების** გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კანდიდატს მას მედიის მეშვეობით ამომრჩეველებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება ეძლევა.

მასმედიაში, წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ როგორ იმუშავებენ კანდიდატები (პარტიები) და რა სტრატეგია ექნებათ, ვინ ვის დაუჭერს მხარს და რა ღონისძიებებს მიმართავენ ისინი წარმატების მისაღწევად. საზოგადოებას აქვს ყოველივე ამის მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებასაც (ინფორმაციულ უზრუნველყოფას) მასმედიისგან მოითხოვენ.

საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი ნიშანდობისა – პოლიტიკური აგიტაცია, სწორედ, მასმედიის მეშვეობით იძენს რეალურ ძალას. მასმედიის მეშვეობით განხორციელებული აგიტაცია არის ის საშუალება, რომელსაც შესწევს უნარი შეგნებულად მოახდინოს გაგულენა არჩევნების საბოლოო შედეგებზე, ყოველივე ეს საზოგადოების ინფორმირების და მუდმივი კარნახის გზით ხორციელდება.

ამრიგად, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, მასმედიის მეშვეობით ამომრჩეველებს მიეწოდებათ ინფორმაცია კანდიდატის (პარტიის) იდეების, შეხედულებების და მიზნების შესახებ და ა.შ. ამომრჩეველებს უყვარს იდეებით გარკვეული წარმოდგენა კანდიდატზე და ამის საფუძველზე საკუთარი ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად ახდენენ რეაგირებას არჩევნებში.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს, კანდიდატის მხარდასაჭერად ხდება საზოგადოებრივი ღონისძიებებია ტიპის განსაზღვრა და შემდეგ მათი ორგანიზება. როგორცაა: პოლიტიკური მიტინგები და კრებები, სპორტული შეჯიბრებები და კონცერტები, ამომრჩეველებთან კანდიდატის შეხვედრები, პოლიტიკური რეკლამის წარმართვა პლაკატების, ბუკლეტების, სარეკლამო რგოლების მეშვეობით და რაც უადრესად მნიშვნელოვანია, პრესისა და ტელევიზიის გამოყენება პოლიტიკური რეკლამისთვის.

პოლიტიკური რეკლამა

საარჩევნო კამპანიის დროს კომუნიკაციური ურთიერთობის დამყარებას ამომრჩეველებთან კანდიდატისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როგორც ცნობილია, საარჩევნო კამპანიისას გამოიყენება რამდენიმე პოლიტიკური კომუნიკაცია, მათ შორის **პოლიტიკური რეკლამაც**, რომელსაც თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი არის არაპერსონალური კომუნიკაცია, რომელიც იყენებს პრესას, ტელევიზიას, რადიოს, პოსტერებს და ა.შ. რომელიც კანდიდატის (პარტიის) პოზიტიური იმიჯის შექმნას ისახავს მიზნად.

რეკლამა არის ინფორმაციის გაერცელების საშუალება. იგი არაპერსონალურია, რადგან სარეკლამო ინფორმაცია ზეპირი თუ წერიტი სახით, მიმართულია მაყურებლის მასაზე, მიუღ საზოგადოებაზე და არა კონკრეტულ პიროვნებაზე.

პოლიტიკური რეკლამის დროს წინა პლანზე გამოდის არა კანდიდატის საერთო მახასიათებლები, არამედ, მისი უპირატესობა კონკრეტული ამომრჩეველებისთვის. კანდიდატმა (პარტიამ) ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოს და საზოგადოებას განუმარტოს თუ როგორ მოუტანს მისი იდეების განხორციელება საზოგადოებას რიგით ამომრჩეველს.

პოლიტიკური რეკლამა იმიჯის ფორმირების საშუალებას წარმოადგენს. პოლიტიკური რეკლამის მიზანია ემოციურ ფორმაში დაიყვანოს ამომრჩეველებამდე კანდიდატის (პარტიის) იმიჯი, მისი პოლიტიკური პლატა ფორმის არსი. იგი ხელს უწყობს ამომრჩეველებში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რომელიც მიმართულია კანდიდატის მხარდასაჭერად. პოლიტიკური რეკლამის მიზანია კანდიდატზე (პარტიაზე) ინაფორმაციის გაცნობიერების გაზრდა, მისი ყველაფრისათვის გახსნები და ადვილად აღქმადი ფორმით გაცხადება წარმატებული საზოგადოებაში კამპანიის წინაპირობაა.

კანდიდატის სარეკლამო კამპანიის ოთხი ძირითადი ეტაპი გააჩნია:

1. კანდიდატის იდენტიფიცირება
 2. არგუმენტაციული რეკლამა
 3. შედარებითი რეკლამა
 4. ფინალი
- **კანდიდატის იდენტიფიცირების** ეტაპი გულისხმობს ღონისძიებას, რომლის მიზანია კანდიდატისათვის ისეთი იმიჯის შექმნა, რომელიც მას ღირსეულ პიროვნებად წარმოაჩენს და ამომრჩეველებს ადვილად დაამახსოვრდებათ.

– **არგუმენტაციული რეკლამის** ეტაპი გულისხმობს არსებული პრობლემების განხილვას და კანდიდატის პოლიტიკურ შეხედულებებსა და პლატფორმაზე ამომრჩეველების კონცენტრირების მოხდენა.

– **შედარებითი რეკლამის** ეტაპის დროს ამომრჩეველებს ყურადღების გადართვა ხდება კანდიდატის უპირატესობაზე კონკურენტებთან შედარებით.

– **ფინალური ეტაპის** დროს ჯამდება კანდიდატზე ცნობილი ყველა ინფორმაცია. კანდიდატი აკეთებს განცხადებებს მისი მომავალი გეგმების, ქვეყნის მომავალი განვითარების შესახებ. ამომრჩეველებს აძლევს და პირებებს და მოუწოდებს გააკეთონ არჩევანი თავის სასარგებლოდ.

პოლიტიკურ რეკლამას გააჩნია ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარი. ამომრჩეველების ცნობიერებაზე განსაკუთრებით ზემოქმედებს ტელერეკლამა. იგი ავითარებს ამომრჩეველების გემოვნებას, ხელს უწყობს მათი მოთხოვნილებების და მიზნების გაფართოებას და სრულყოფას. ტელერეკლამა ზემოქმედებს მათ შეხედულებებზე. მისი გავლენით იცვლება საზოგადოების შეხედულებები და წარმოდგენები.

ტელერეკლამის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ამომრჩეველები უყურებენ სახლში, მშვიდ ატმოსფეროში, რომელიც უკეთ აღქმისა და ინფორმაციის გაცნობიერების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, ამომრჩეველებზე ტელერეკლამის გავლენა უდიდესია. გარდა ამისა მისმა განავითარებამ ყველა სხვა სარეკლამო საშუალებებს გადააჭარბა. ტელერეკლამის დიდი უპირატესობა სხვა სარეკლამო საშუალებებთან შედარებით არის ხმის, გამოასახელების და მოძრაობის კომბინაცია. ასეთი კომბინაციის წყალობით ადვილია კანდიდატის და მისი საუკეთესო თვისებების ეფექტურად წარმოჩენა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიტიკური რეკლამისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებაზე იმ ზემოქმედების მიღწევას, რომელიც წინასწარ იქნა დასახული – საზოგადოებაში კანდიდატის და მისი პროგრამის შესახებ ინფორმაციის გაერცელება და გაცნობიერების უზრუნველყოფა. პოლიტიკური რეკლამის მიზანია ამომრჩეველების სტიმულირება, ხმა მისცენ კონკრეტულ კანდიდატს. იგი ქმნის სასურველ ფსიქოლოგიურ განწყობას ამომრჩეველებში, რომლის უპირველეს ამოცანას კანდიდატის პოზიტიური იმიჯის ფორმირება წარმოადგენს.

ამრიგად, შესაძლებლობის ფარგლებში გადმოვეცით პოლიტიკური კომუნიკაციების როლი, როგორც საარჩევნო კამპანიის სტრატეგიისა და ტაქტიკის განხორციელების მთავარი საშუალება. აღსანიშნავია, რომ ისინი დიდ როლს თამაშობენ კანდიდატის (პარტიის) პოზიტიური იმიჯის ფორმირებასა და წარმატებულ საარჩევნო კამპანიის განხორციელებაში.

(გაგერძელება შემდეგ ნომერში)

“სამეგრელო”

ორი თვეც არ არის გასული, რაც ზუგდიდში სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ოფისი გაიხსნა და უკვე მრავალი ადამიანი სათვით საინტერესო და საყვარელ ადგილად იქცა, სადაც მიმდინარეობს მსჯელობა და კამათი ქვეყნის საჭიროებებზე, საკითხებზე. ამ ოფისში თავს იყრიან სხვადასხვა ფენის, ასაკისა და პროფესიის ადამიანები, რომელთაც გულთბილად ხვდება ოფისის ხელმძღვანელი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ კვარაცხელია. აქ მოსულ პიროვნებებს აერთიანებთ თავიანთი ქვეყნის სიყვარული და უდიდესი რწმენა და პატივისცემა მოძრაობის ლიდერის ბატონ **ალექსანდრე ჭავჭავაძის** მიმართ. ბევრი მათგანი ბატონ ალექსანდრეს პირადად იცნობს, ბევრი კიდევ გაცნობის მოლოდინშია.

სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”** ძალებს იკრებს. მიმდინარე წელს, თავისი პირველი ღონისძიება, **“სამეგრელო”**, 26 მაისს ჩატარა. ამ დღეს მოძრაობა განსხვავებულად შეხვდა. ანუ არა როგორც იმ სახეობით თარიღს, რომელსაც ხელისუფლება აღნიშნავდა, არამედ, როგორც ზოიად გამსახურდას საქართველოს პრეზიდენტად კანონიერად არჩევისა და მერაბ კოსტავას დაბადების დღეს. რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** მიანია, რომ ეს ღონისძიება უნდა აღინიშნოს 9 აპრილს და არა 26 მაისს (და თუნდაც ასე ყოფილიყო, განა შეიძლებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნა იმ ზოიად გამსახურდასა და მერაბ კოსტავას სახელების მოხსენიების გარეშე, რომელთაც მოუტანეს საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობაც. ეს, მართლაც რომ ვთქვათ, უკეთეს შემთხვევაში პოლიტიკური ამეხიბა, უარეს შემთხვევაში კი ჩვენი არაქართული ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ვერაგული ომი საქართველოს როგორც ძველ, ასევე უახლესი ისტორიის წინააღმდეგ – **“ილორი”**). ამიტომ, სახალხო მოძრაობის წარმომადგენლებმა ყვეილებით შეამკეს ზოიად გამსახურდას ბიუსტი, რომელიც ზუგდიდის ცენტრში დაიდგა 9 წლის წინათ, მოძრაობის ლიდერის ბატონი ალექსანდრე ჭავჭავაძის ინიციატივითა და სახსრებით.

სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ზუგდიდის ორგანიზაციის პოზიციაზე, გეგმებსა და მიზნებზე და საერთო პოლიტიკურ სიტუაციაზე მკითხველს თავის მოსაზრებას უზიარებს ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია: **“თბილისში განვითარებულ მოვლენებზე ცალსახად შემიძლია გითხურო, რომ ხელისუფლებამ ჩაიდინა მძიმე დანაშაული. ერთ რამეში დრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად “ჩვენი” ხელისუფლება ნებისმიერ სიბინძურეზე წამსვლელია, მაგრამ, ამ თვალსაზრისით, არც ე.წ. რადიკალური ოპოზიცია ბევრად უკეთესი. ესენი არიან მანიაკები, მაგრამ, ვერ გამიგია, რა დააშავა ხალხმა, რომელიც გაუბედურებული და გამწვარებულია. მტკიცედ მწამს, რომ თვისობრივად ახალი ძალა ჩამოსაყალიბებელი, რომელიც ეროვნულ-ტრადიციულ და ზნეობრივ-მართლმადიდებლურ მრწამსზე იქნება დაფუძნებული და რომელმაც აუცილებლად უნდა შესძლოს საზოგადოების ყველა ფენის კონსოლიდება, მაშულის გადასარჩენად. ამ საქმეს სუფთა და წესიერი ადამიანები უნდა ედგნენ სათავეში, ამ საქმეს გონიერი და სტრატეგიულად მოაზროვნე პოლიტიკოსები სჭირდება, ამ საქმეს უნდა უთავონ თხემით ტერფამდე პატრიოტული სულისკვეთების მქონე ადამიანებმა და არა “ნატოსა” და რადიც ამგვარ სტრუქტურაში გაწევრიანების მანიაკალური სურვილით შეპყრობილმა ვაიპოლიტიკოსებმა. ამრიგად, სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” ორიენტირებულია თვისობრივად ახალი ძალის შექმნაზე და ამ საქმეში ჩვენი კუთხის მოსახლეობის და აფხაზეთიდან დევნილების დიდი პოტენციალის გამოყენებაზე. ჩვენი უმთავრესია ქვეყნის გათვლიანება და ამას სჭირდება ჩვენი კონსოლიდაცია. ამ ეტაპზე დაკავებული ვართ ზუგდიდელბთან ურთიერთობით, ორგანიზაციული საკითხებით, ალბათ მალე დაიწყებთ კონკრეტულ ღონისძიებათა რეალიზებას. მთავარია, ადამიანებმა გაგვიგონ, რა გვინდა, დაინახონ იმის აუცილებლობა, რომ საჭიროა დარაზმვა**

მოძრაობა ძალას იკრებს

ეროვნული იდეის გარშემო. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ჩვენ განვიხილავთ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აგანგარდში, რა თქმა უნდა, მას გააჩნია თავისი სპეციფიკურობაც. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი კუთხის ხალხმა მეტი იფიქროს და იზრუნოს თავის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე. მრავალგზის მითქვამს და ახლაც ვიტყვი: საქართველოს მთლიანობასა და დამოუკიდებლობას ალტერნატივა არ გააჩნია და ნურც ნურავინ შეეცდება ბინძური ინსინუაციებით სამეგრელოს დისკრედიტირებას. ვაფრთხილებ მაგანთ, მათ შორის ლევან ღვინჯილიას და სოსო სიგუას: დროულად გონს მოეგონ. ისინი ვერასოდეს გახდებიან გრიგოლ რობაქიძეზე, აკაკი შანიძეზე, იოსებ ყიფშიძეზე, ალექსანდრე ცაგარელზე, დიმიტრი ბაქრაძეზე და სხვა პატრიოტებზე დიდი ქართველები. ნუ ებრძვიან მეგრულ ენას და თვითმყოფადობას. ქართველი ერი კოლხურ-იბერიულ ფესვებზეა ამოზრდილი და მას მოვლა-შენარჩუნება სჭირდება (თუნდაც ის რად ღირს, რომ პროფესორმა გია კვაშილავამ სწორედ მეგრული (კოლხური) ენის ცოდნის წყალობით გაიფიქრა **“ფესტისის დისკო”**, რომელსაც ლამის ასე წელი გერაფერი მოუხერხა მსოფლიოს ენათმეცნიერებამ). თუ ამის საჭიროებაზე არ დაფიქრდა მეგრელიც და დანარჩენი საქართველოც, მაშინ ყველანი დასაღუპად ვიქნებით განწირული, რაც ხელს აძლევს მხოლოდ ჩვენს იმ ისტორიულ მტერს, რომელიც საუკუნეებია გვედავება დიდ შოთა რუსთაველს, ქართულ ხალხურ ფოლკლორს, ეკლესია-მონასტრებს...

საქართველოს გადასარჩენად დიდი ბრძოლაა საჭირო, ბრძოლას კი ყოველთვის აქვს აზრი”.

ასევე საკუთარი აზრი გამოთქმეს ზუგდიდის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: **რენე პალანდია**, პოეტი – გულითადად მივესალმები სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** საქმიანობას, რადგან ამ მოძრაობაში ვხედავ ზოიად გამსახურდასა და მერაბ კოსტავას იდეების ერთგულ წარმომადგენლებს. და ღრმად მწამს, რომ მოძრაობის მესვეურები და წევრები ღირსეულად გააგრძელებენ ქართული ეროვნული მოძრაობის დამფუძნებლებისა და ეროვნულ იდეას ზეარაკად შეწირული ამ დიდი ადამიანების მიერ დაწყებულ საშვილისშვილო საქმეს.

გუილელმო ზიტანაძე – მუსიკოსი, მომღერალი – ზუგდიდში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ოფისი ჩემთვის და ჩემი თანამებრძოლებსათვის ერთგვარად შევების და იმედის მომგვრელია, რადგან აქ თავს იყრიან ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ერთი იდეითა და რწმენით გამსჭვალული ადამიანები. ისინი მსჯელობენ ქვეყნისათვის საჭიროებებზე, საკითხებზე, დღემუდამ მსჯელობენ საზოგადოების წინაშე მდგარ, დიდებულ ქვეყნულ პრობლემებზე და ეძიებენ მათი მშვიდობიანად გადაჭრის გზებს, რადგან კიდევ ერთ ავადსახსენებელ **“ვარდების”** რეგოლუციას ჩვენი ქვეყანა ვეღარ გადაიტანს!

მამია, რომ ბაშინაძეზმამთი!

სპეციალურად გაზეთ **“ილორისათვის”**,
ესაუბრა **ლადო ძირია**



ინფორმაცია

ინფორმაცია

კახი კალაძის საგანგებო განცხადება

საახალხო კრების აქციის დარბევასთან დაკავშირებით კომპანია „ბაჰა კაპიტალს“ პრეს-სამსახურმა კახი კალაძის საგანგებო განცხადება გაავრცელა.

“საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ზუსტად 20 წლის შემდეგ, დამით მოხდა შემზარავი ტრაგედია, სამართალდამცავთა მიერ სასტიკად იქნა დარბეული მშვიდობიანი მიტინგის მონაწილენი, ასაკისა და სქესის განურჩევლად დაუზღოვლად, უმოწყალოდ ცემეს აქციის თითქმის ყველა მონაწილე. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, მასშედის, ასევე სახალხო დამცველის მიერ აღიარებულ იქნა, რომ პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა. თვითმხილველთა განცხადებებით და მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა მიერ

გავრცელებული კადრებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ გამოიყენა დროის უმოკლეს მონაკვეთში სპეციალური დანიშნულების რაზმმა წყლის ჭავლი, ცრემლსადენი და მხუთავი გაზი, რეზინის ტყეები და ბოლოს როგორ უმოწყალოდ უსწორდებოდნენ უკვე დაპატიმრებულ, ძირს დაგდებულ ხელ-ფეხ შეკრულ ადამიანებს. აღნიშნულმა სამხედრო-სადამსჯელო ოპერაციამ გამოიწვია ათასობით ჩვენი თანამემამულის მოწამლევა, ადამიანებმა მიიღეს მრავლობითი ხარისხის უმძიმესი დაზიანებები და რაც ყველაზე გულსატკენია, არის მსხვერპლი. მწუხარებით თანაგუგრძნობ გარდაცვლილთა ოჯახებს და მჯერა, რომ ქართული საზოგადოებრიობა, დამოუკიდებელი მედიასაშუალებები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ობიექტურად გამოიძიებენ, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

სამხედრო-სადამსჯელო ოპერაციამდე რამდენიმე დღის განმავლობაში, ქართველი სამარ-

თალდამცავები სხვადასხვა საბაბითა და პროვოცირებით აკავებდნენ ხელისუფლებისგან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, მასიურად ხდებოდა გაუგებარი მიზეზებით ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამორთმევა.

ჩემთვის - სპორტსმენისათვის, საგვებით აპოლიტიკური ადამიანისათვის მიუღებელია, როგორც ხელისუფლების შეცვლა ძალადობრივი გზით, ასევე ხელისუფლების მიერ ძალაუფლების შენარჩუნება ყველანაირი დაუშვებელი მეთოდით. არ შეიძლება ოცდამეერთე საუკუნის საქართველო ერთი ნაბიჯის ევროკავშირისაკენ დგამდეს და ორი ნაბიჯით უკან მიიღოდეს ავტოკრატიისა და დიქტატურისაკენ. არასოდეს არ უნდა დაგვაიწვიდეს, რომ სახელმწიფო მოხელეები არიან ხალხის მიერ დაქირავებული. სამართალდამცავებსაც ჩვენივე აკრეფილი გადასახადებიდან აქვთ ხელფასები.

მე, ერთი რიგითი ქართველი,

მიემართავ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდს, საქართველოს მეგობარ ქვეყანათა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ვთხოვრებ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით დააყენონ საქართველოს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საუბრისას საკითხი, რათა გამოიძიონ ობიექტურად 26 მაისის ტრაგედიის დამნაშავეთა ვინაობა და ხელი შეუშალონ მასობრივ რეპრესიებს, რაც საქართველოს დემოკრატიულ იმუხს აშკარად ჩრდილს აყენებს.

აქვე გამოთქვამ სურვილს, რომ საქართველოს ხელისუფლებას და სამართალდამცავ ორგანოებს ეყოფათ გონიერება და აღნიშნული სისხლიანი აქცია აღარასოდეს განმეორდება, ისევე, როგორც არ განმეორდება ადამიანთა გაუგებარი მიზეზებით მასობრივი დაპატიმრება.”

ალექსანდრე ჭაჭია: მხოლოდ მოღალატეები არ ისარბებლებდნენ იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერბები ბალაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ



29 მაისს 62 წლის ასაკში გარდაიცვალა აფხაზეთის ლიდერი სერგეი ბაღაფში. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა და ქართველებისადმი დამოკიდებულება იძლეოდა აფხაზეთთან პოზიტიური დიალოგისა და ურთიერთობათა მოწესრიგების სერიოზულ საფუძველს. სერგეი ბაღაფშის გარდაცვალებას საქართველოს მმართველი ელიტის ნაწილი ლამის ზარ-ზემით შეხვდა, თუმცა რეალობა გაცილებით მძიმეა და მოვლენათა განვითარება კარგს არაფერს გვთავაზობს. გვესაუბრება ცნობილი პოლიტოლოგი, პროფესორი **ალექსანდრე ჭაჭია**, რომელიც პირადად იცნობდა სერგეი ბაღაფშს.

— ბატონო ალექსანდრე, ვიცო, რომ თბილისი, მეგობრული ურთიერთობა გქონდათ სერგეი ბაღაფშთან.

— დიახ, სერგეის, მრავალი წელია, ვიცნობ და ძალიან მტკივნეულად განვიცდი მის მოულოდნელ, ნაადრევ გარდაცვალებას. სერგეი ძალიან წესიერი, გულწრფელი, კეთილი ადამიანი იყო, ერთგული მეგობარი, ვინც იცოდა სიტყვის, მეგობრობის ფასი, ვისი ნდობაც ყოველთვის შეიძლებოდა. ის აფხაზეთის მკვიდრთა იმ თაობას მიეკუთვნებოდა, რომელიც გაიზარდა და ჩამოყალიბდა ადამიანებს შორის სუფთა, გულწრფელი ურთიერთობების გარემოში, სადაც არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ეთნიკურ წარმომადგენლობას და კარგი ადამიანები ერთმანეთთან მხოლოდ იმიტომ მეგობრობდნენ, რომ კარგები იყვნენ. სერგეის სკოლის, ინსტიტუტისა და სხვა მეგობრების საუცხოო წრე ჰყავდა. ამ ადამიანებთან ის მთელი

ცხოვრება მეგობრობდა, სამუხაროდ, ბევრი მათგანი დღეს ამქვეყნად აღარ არის. აღარ არის დავით ფილია, არჩილ ადამია... დღეს სერგეიც აღარ არის. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად (ისინი ჩემზე უფროსები იყვნენ), მე მათთან ვმეგობრობდი და თითოეული მათგანის ამქვეყნიდან წასვლას განვიცდი როგორც პირად ტრაგედიას.

— შეიძლება თუ არა თქვენი მეგობრული ურთიერთობების ბატონი სერგეის პიროვნული თვისებების გამოყენება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ნორმალიზებაში?

— განა საქართველოს ხელმძღვანელობას ოდესმე სურდა აფხაზეთთან ურთიერთობის ნორმალიზება? როდესაც შევარდნაძე მოვიდა ხელისუფლებაში, აფხაზეთში მდგომარეობა ერთობ დაძაბული იყო. სოლიკო ხაბეიშვილმა მოხოვა, ჩავსულიყავი სოხუმში და გამერევა ვითარება. ჩავედი, შევხვდი ადგილობრივი ელიტის წარმომადგენლებს, მერე კი სერგეისთან, დავითთან, ალექსანდრე ჩაჭავაძესთან, ენვერ კაპაბასთან და სხვა საერთო მეგობრებთან ერთად დავსახეთ რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ვითარების ნორმალიზებას მოახდენდა. მათ გულწრფელად სურდათ დაძაბულობის მოხსნა ურთიერთობებში; სურდათ, თავიდან აეცილებინათ კონფლიქტი, არ დაეშვათ აფხაზეთის მიწაზე სისხლისღვრა.

შევარდნაძისთვის ანალიტიკური ბარათი მოვაშლადე და ხაბეიშვილს გადავეცი. რამდენიმე დღეში მან მოხოვა, სოხუმში გავყოლოდი, სადაც პირადად სურდა აფხაზეთთან დალაპარაკება. ყველანი დავით ფილიას სახლში შევიკრიბეთ, ძალიან თბილი შეხვედრა იყო, სადაც სრული ურთიერთგაგება სუფევდა. ხაბეიშვილი თბილისში დაბრუნდა, მე კი ზაფხულის ბოლომდე აფხაზეთში დარჩენა გადავწყვიტე. ორ კვირაში სროლის ხმა გამაღვიძა. ოჩამჩირეზე შევარდნაძის “არწივებმა” გაიარეს, მაშინვე თბილისის მივამოვრე, ხაბეიშვილს მივაკითხე და ვკითხე, თუ რა ხდებოდა. მან მიპასუხა, რომ მიღებულია აფხაზეთის პრობლემის ერთხელ და

სამუდამოდ გადაჭრის გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ჰყავს ლიდერი, რომელსაც შეუძლია პრობლემის ნებისმიერი ხერხით გადაჭრის უფლება მისცეს თავს. მე მას სიტყვასიტყვით მივუთხრე: “მოხდა კატასტროფა. მიმანია, რომ ეს არის დანაშაული საქართველოს წინაშე. ჩვენ ამ ომს წავაგებთ და აფხაზეთს სამუდამოდ დავკარგავთ”. ომის მსვლელობისას რამდენიმეჯერ ვთხოვე ბატონ სოლიკოს, შევარდნაძისათვის გადაეცა ჩემი ბარათები, რომლებშიც ვთხოვდი, არ შევიარადებინა და არ მოეხდინა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მობილიზება, კონფლიქტი ეთნიკურ, მეტოპელთა შორის ომში რომ არ გადაზრდილიყო. წაგების შემთხვევაში, ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას აფხაზეთის დატოვება არ მოუწევდა. უკანასკნელად რაც ვთხოვე, იყო ის, რომ არ დაეწყოთ სასწავლო წელი 1 სექტემბერს, არ დაეგრუნებინათ საომარ ვითარებაში ბავშვები. საბოლოოდ არც ერთი ჩემი თხოვნა და წინადადება არ იქნა გაზიარებული.

ახალი ხელისუფლებაც არაფრით განსხვავდება შევარდნაძის ხელისუფლებისგან. ის, რომ მათ აფხაზეთის დაბრუნება არ აინტერესებთ, მაშინვე გახდა ცხადი, როგორც კი სააკაშვილმა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტა ჩააბარა ისეთ ადამიანებს, როგორებიც ხაინძრავე, ვიდაც მალაშხია და იაკობაშვილი არიან. ეს ცხადი გახდა მაშინვე, როგორც კი წამოიწიეს ანტირუსული ისტერია, გააძლიერეს შევარდნაძისეული ბოღვა ნატოში შესვლაზე, ანუ ავტომატურად გამოირიცხეს რუსეთის პოზიტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.

2007 წლის შემოდგომაზე დავერეკე ერთ მაღალჩინოსანს სააკაშვილის გარემოცვიდან და ვუთხარი — გზების დაგება კარგია, მაგრამ ხომ არ დადგა აფხაზეთთან დაკავშირებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმის დრო-მეთქი და შევთავაზე, რომ პირადად გავეწვედი ორგანიზებას სერგეი ბაღაფშის ვიზიტს თბილისში, რაც უდავოდ

მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ნდობის აღდგენის კუთხით. მისგან შოკისმომგვრელი პასუხი მივიღე — “ეს ახლა აქტუალური არ არის, ჩვენ ვაკონტროლებთ სიტუაციას და აფხაზეთის საკითხს საკუთარი მეთოდებით ვაგვარებთ”.

ეს იმიტომ მოეყვები, რომ გასაგები გავხადო — საქართველოს არც ყოფილი და არც ამჟამინდელი ხელისუფლებისათვის აფხაზეთის საკითხი მნიშვნელოვანი არ არის. მათ არა მარტო არ შეუძლიათ, არამედ არც სურთ ამ პრობლემის მოგვარება. მხოლოდ მოღალატეები და დამნაშავეები არ ისარგებლებდნენ ქართველებისა და აფხაზების დასახსლოებლად იმ პერიოდით, როდესაც ხელისუფლებაში სერგეი ბაღაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. აფხაზი პოლიტიკოსების ახალ თაობასთან ჩვენ სალაპარაკო აღარაფერი გვქმნება.

— უკანასკნელად როდის შეხვდით სერგეი ბაღაფშს?

— სერგეის შარშან შემოდგომაზე, წვეულებაზე შეხვდი ჩემი მძახლის ოჯახში (ისინი ახლო მეგობრები არიან). ერთი კვირით ადრე, ვიდრე მოსკოვში სამკურნალოდ ჩამოვიყვანეს, მეგობრებთან ერთად სუფრასთან ვიყავი და დავერეკე სოხუმში, მობილურ ტელეფონზე ვერ დავეუკავშირდი. მის შეუძლებელ ვესაუბრე, მითხრა სტუმრებთანაა შეხვედრაზე... 29 მაისს, კვირას, საავადმყოფოში უნდა მომენახლებებინა, მაგრამ დილით ადრე მისი გარდაცვალების შესახებ შემატყობინეს. ძალიან განვიცადე... ძალიან მეტყინა სერგეის წასვლა. სხვათა შორის ერთ თვეში სერგეის ვახისა და ჩემი ოჩამჩირელი მეგობრის, ნეირონ ბოზუას ქალიშვილის ქორწილი უნდა შემეღარიყო. სერგეის ძალიან უხაროდა, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა...

— ბატონო ალექსანდრე, საქართველოში უკანასკნელ დროს რიგი მოვლენები მოხდა, რას იტყვით...

— მოდი ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

ესაუბრა
დავით ბაზაძე

პოეზიის გუთნე გურიელი ჰითანავა

დაიბადა 1949 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში. აქვს აგრონომისა და ისტორიკოსის სპეციალობა, თუმცა დიდ წარმატებას მიაღწია ქართული სიმღერების გამომონხე შესრულების საქმეში. როგორც ხელოვანს, მოვლილი აქვს მსოფლიო, არის საერთაშორისო და საკავშირო პრემიების ლაურეატი. ლექსებითა და სიმღერებით ვფერება კოლხეთიდან მთელ ქართველ ერს. “მარგალიტ ჯიშიშე მოუღ, იროიპიქ ჯინჯმანგარო, სი მობრდილო, სი დომგარი, ოდაბადე სამარგალო!” სწორედ ეს გახლავთ პოეტის სულიერი კრედი.

ჩაიმი ჰიჭი ბეჟაშვალა

ჩაიმი ჰიჭი ბეჟაშვალა, ჩაიმი ულირ ბაღანობა, აკაბურცა მაკარკალუქ — ანწი გოკო მანგარობა. ინოსორგუდ ჩხომ დო ღორჯო, ამდლა ვენგაპალუ ციტი, ხომ ქომქუნა მუქ გადოლუ მუქ გოსკირუ მიჭი რყინტუ. მახარიას აკადუდი, ართო მიხარჩალუდით, სქიბუეხსი ურთანდით, ართიანს აღურდით. დღაშო ობარჩხალაია, სერი ირო მერეკელა, სქანი ტომბას ირგილუანდ ჩქიმ ბუსქა დო ჩქიმი ჩელა. უგოჭყოლად ბაღანობა, სქანცალ ოხვარჩალაია, სი არძანერი გასქეამანდ მუნაფილ დო ჩხანაია. ტაფარია ქუალეფი კუნხუაფლეთ ნატანტალა შეგაშის ვაგ სამარგალოში ვართი რზენი, ვართი გვალა. არძა ჭიჭანობაშე მურთ, დღას ვეთებუ ბაღანობა, ვადოზურდა ხოლო იყი სქან ტყალეფი დო სქანი ღალობა. ჩაიმი ჰიჭი ბეჟაშვალა, ანწი გოკო მანგარობა...

რამაზ კუპრა

აშოთ მანჭი, ჩაიმი ჯუმა ლაზონაში მუთა მეძე, სერ დო დღაშით თქანდა მიფეში... შეხვალამას ქუდუფობათ ჩილაპური ხილიში... შურ დო გურით მოკო მიბლე ტრაპიზონ დო ხოპი, ხოფა... ქიანას ოკო ქუდუფიერ ლაზ-მარგალიში ყორფა... აშოთ მანჭი, ჩაიმი ჯუმა, სადღემუშოთ ვადმეთხუა, მუ მიჭირა, მუ მიჩინა დობოჯუათ დო ართო ბტქუათ...

...ლაზონაშა მუთა მეძე, მარა იშენთ მეძე შორი...

ნოსტალგია

ქართშა ხარგელო ქიმურქინ, ქართალ “ტო” რე გაღენ მოთა, მაჟრა დღაშ უკუელი შურსგ ჩქიმ ზუგდიდშა მეუფოთა...

საქართველო (კოლხეთი) — კასოზრიობის სივლიზასიის აკვანი



საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა. იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე პროფ. ლეონ სანაძის

ჩვენ გაზეთის წინა ნომრებში მკითხველებს მივაწოდეთ დიდი ქართველი მეცნიერის ბატონ კლიმენტ შელაის წერილების ციკლიდან მრავალი საინტერესო წერილი, რომელიც ნათელს აჟღერებს საქართველოს შორეული წარსულის პერიოდებს. ზოგიერთი წერილი ამ ციკლიდან შეიძლება ადრე გამოქვეყნებულიც გეგონდეს, მაგრამ იმდენად დიდია მკითხველი აუდიტორიის ინტერესი ბატონი კლიმენტის შემოქმედებისადმი, რომ მისი ხელმოწერა გამოქვეყნებაც დიდად სასარგებლო და საშუალო საშუალო მრავალსა — გაზეთი “ილორის” რედაქცია.

კოლხეთს (იგივე საქართველო) ძველ ეპოქაში ჩვენი სამყაროს უზარმაზარი სივრცეები ეკავა, დაწყებული ერაყით და მიმდებარე ტერიტორიით ქიმიით, სუდანის (კოლხ-ქალდეების იმპერია), პირენეი, აპენინი, ხმელთაშუა ზღვის აუზი, ძველ ლაზიკამდე, გარდა ამისა, 1921 წლამდე რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, კრასნოდარის მხარის ცენტრში (დელაქალაქში) ინახებოდა რუკა, რომელზეც მთელ ამ მხარეს ეწოდებოდა “მინგრელი”. ტუფსემდე, მდინარე რამდენ (ვოლგა), ყაზანი, რიაზანი

(მეგრული სახელებია), აზოვის ზღვა-ლაზოვსკოე, ამორე ლაზოვსკოე (ლაზების ზღვა), მთელი ყირიმი (რუსებს ბეგრა “ყ” არა აქვთ, მეგრულ-ქართულ სიტყვებში “ყ” ძალიან ხშირად იხმარება); მეგრელთა ყურით (სპარსეთის ყურით), ჩრდილოეთ ინდოეთამდე, როგორც ძველი ბერძნები ამბობდნენ — მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კოლხეთი იყო.

საქართველო უძველესი დროიდან ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო, ქვეყანაში ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა.

მსოფლიო “ისტორიის მამად” ალიარეზული პეროლოტე (ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნე) და სხვა ბერძენი სწავლულები, ზემოდაღნიშნულ სივრცეში სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავდნენ გარდა კოლხეთისა. ამით აღმოსავლეთ საქართველოსაც კოლხეთად აღიქვამდნენ. ადრე სამეგრელოს ერქვა იბერია, მოსახლეობას კი იბერები (ნ. მარი).

პეროლოტე თავის ანალებში არც სომხებს ასხენებს, ალბათ იმიტომ, რომ — სომხები, — ამ სახელწოდებით არ იყო მაშინ კავკასიაში ასეთი ქვეყანა, ამ სახელწოდების მქონე სახელმწიფოებრივი გაერთიანება საერთოდ არ არსებობდა.

ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში “ქართველი” პირველად იხსენიება “შუშანიის წამებაში”. ძველი წელთაღრიცხვის 3.200-3.100 წელს (5.200-5.100 წლის წინ) არსებობდა უძველესი და უპირველესი ქალაქი კოლხა — კულხა, მდინარე ბურანუნის (ევფრატის) ქვემო წელში, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 3.185-3.120 წლებში კოლხეთის უდიდეს სამყაროს განაგებდა (ცენტრი ხეროვისი).

ქალაქ კოლხას (კოლხის) დამაარსებელი იყო მეფე ანმარე (დეთის კაცი).

ისტორიისათვის ცნობილია და ამერიკელმა უფოლოგებმაც დაადასტურეს, რომ კაცობრიობამ “ცხოვრება ისწავლა” ძველი შუმერების ან (“ანაუკის-ანუკის-აგან”), რომლებიც 5.500 წლის

წინ ცხოვრობდნენ, რომ მათ ყველაფერი იცოდნენ ჩვენი წარმოშობის შესახებ, რომ ისინი ყველაფრის შესახებ ამომწურავ ცნობებს ფლობდნენ. შუმერები, რომ იგივე მეგრელები (ქართველები) არიან, დიდი ხანია ამტკიცებდა პროფესორი მისაკო წერეთელი, ასევე ზურაბ ქაფიანიძე, პროფესორი თეიმურაზ მიბეზანი, აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი და ბევრი სხვა მეცნიერი.

“ანანუკი” (“ანანუა”) ხომ არ არის მეგრელთა სიბრძნის წიგნი “ეფუთი” (“ანანუს ეფუთი”), რომელიც დაკარგულად ითვლება?

ქართველი მმართველები, მეფეები, მზის შვილებად აღიარებული, ზეცის სრულ — განუყოფელ ძალაუფლებით იყვნენ აღჭურვილნი და თვლიდნენ, რომ მეგრელისათვის მზე დედაა, ხოლო მთვარე — მამა:

“ზუა დიდა რე ჩქიმი, თუთა — მუმა ჩქიმი, ხეიზა, ხეიზა მურიცხეფი — და დი ჯუმა ჩქიმი”
“მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი
მოციმციმე ვარსკვლავები — და და მამა ჩემი”.

(მთარგმნელი — აკადემიკოსი აბაში შანიძე).

კაცობრიობის ისტორიაში პირველი ეპიზოდი მეფეა, მტკიცე ბულების შემთხვევაში, ამბობდა: “ფიციცა მზეს და მთვარეს” (აპოლონიოს როდოსელი). როგორც მზის ღმერთის შვილის-შვილისათვის, მედეასათვის მზე, მთვარე და მიწა მშობლიური იყო! არც ის იყო შემთხვევითი, რომ მედეას სახელი დაერქვა მსოფლიო მედიცინას.

პროფესორმა მისაკო წერეთელმა პირველმა მოიხსენია ებრაელი არქეოლოგი იულიუს ოპერტი, რომლის ბიოგრაფია გამოქვეყნებულია “იუდეურ ენციკლოპედიაში”.

ის დაიბადა გერმანიაში (გარდაიცვალა 1905 წელს), საფრანგეთის მთავრობის დაავალბებით გათხრებს აწარმოებდა ძველ სამხრეთ

საქართველოში, საიდანაც, რატომღაც მეტად უკმაყოფილო დაბრუნებულა.

უძველეს დროში ქვემო მესოპოტამიის ქალაქ ერედუში მდებარე ღვთაება ენქის ტაძარში ინგირი, ენგური პროტოშუმერული ხანისაა. ძველი წელთაღრიცხვის XXIV-XXIII საუკუნეების მიჯნაზე მეგრულ-ლაზების ერთი ნაწილი ქვედა მესოპოტამიიდან გადასახლდნენ ზემო მესოპოტამიაში და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროებზე და ღვთაება ენქის (ეა-ს, აი-ეს) კულტი და ტაძარი ენგურიც “გადმოიტანეს” (ამასვე მიუთითებენ ბერძნული წყაროებიც): ღვთაება ენქის ტაძარი “ენგური” პალესტი-ნაში ისტორიაში პირველი ტაძარი ქართული (მეგრულ-ლაზური) ყოფილა.

ადრინდელი აქადურ, შუმერულ, ბაბილონური ტოპონიმია, მათი იქ მისვლამდე მცხოვრებ ხალხების მეგრულ-ლაზებისა (კოლხებისა), მაგრამ ი. ოპერტიმა ლურსმულ დამწერლობას შუმერული უწოდა, ქვეყნის სახელწოდება ენგური შეცვალა “შუმერიო”, ხოლო იქ მცხოვრებ ხალხს შუმერები უწოდა. ქვეყანა, რომელსაც ი. ოპერტი შუმერს უწოდებს სამეგრელოს სამეფოა (ნ. ფოფხაძე).

თავდაპირველად, მდინარის და ქვეყნის სახელწოდება იყო “ენგური” (ვახუშტი ბატონიშვილი). ლეონტი მროველის მიხედვით “ენგური” ქვეყნის — დასავლეთ საქართველოს სახელწოდება ყოფილა “ფარნავაზ მეფედ იქცა ქართლსა და ეგრისსა ზედა”.

აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო უძველეს დროიდან ერთი ქვეყანა, ერთი ეთნოსი იყო და ქვეყანაში ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა.

იპოვნედი იანეზი — უძველესი კოლხური ტომები

გაზეთში “ასავალ-დასავალი” (2010 წელი, 16-22 აგვისტო, №33) გამოქვეყნდა ლაიონ მიქაეას საუბარი ქეთევან ხაშიცაშვილთან სათაურით “მიქავა იპოვნედი, ნაგასაკიში, ცნობილი გვარია!”,

რომელშიც ნათქვამია, რომ იპოვნედი აში მდებარეობს სოფელი მიქავა, ცხოვრობდნენ ისტორიული პიროვნებები, აღმირალი გუნინი და მომდერალი ქალბატონი კიონიში მიქაეები, რომელსაც ადასტურებს საქართველოში იპოვნის ელნი მახიოში გამოქარა. ეს ისტორიული ფაქტია!

ისტორიული ფაქტია ისიც, რომ ჩრდილოეთ იპოვნედი კუნძულ ხონსიუსა და ხოკაიდოზე ცხოვრობენ უძველესი მეგრული ტომები აიანები, რომელთა რაოდენობა ბევრად არ აღემატება 20.000 კაცს. აიანები ენითა და ფიზიკური მონაცემებით სავსებით განსხვავდებიან შორეული აღმოსავლეთის მონღოლოიდური რასის ხალხისაგან. აიანები არიან მხარბეკიანები, მალეები, ათასწლეულების შემდეგაც პირსახე და თვალის ჭრილი აშკარად გამოხატული მონღოლოიდური მოყვანილობის არ აქვთ.

მეცნიერები დიდი ხანია სწავლობენ აიანების შორეულ წარსულ ისტორიას, მათ ძალიან აინტერესებდათ და აინტერესებთ, თუ როგორ მოხვდნენ აიანები იპოვნედი, სწავლობდნენ მათი ენის თავისებურების საკითხებს.

მაგრამ მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ აიანები იპოვნის კუნძულების იმ რეგიონში ცხოვრობენ, სადაც ივერთა გადაადგილებისათვის მიგრაციის განკუთვნილი გზა ჩრდილოეთ განედის 42 გრადუსზე მდებარეობს.

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში რუსმა აკადემიკოსმა შრენკმა წამოაყენა დებულება, რომ აიანები ცხოვრობდნენ მატრიკაზე, მაგრამ მრავალრიცხოვანი მონღოლოური რასებისაგან განიცადეს შევიწროება და მოხდა მათი მიგრაცია კორეასა და კუნძულ ცუსიმას გავლით ხონსიუსზე, შემდეგ კი გადავიდნენ კუნძულ ხოკაიდოზეც (ხონკაიდო).

კლიმენტ შელია, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დიდახული სარუქარი ქართულ ისტორიკოსებსა და ნიბნის მოყვარულებს

სული გამომეკვლია. ამგვარმა კვლევა-ძიებამ დამარწმუნა, რომ მამაპაპეული შეხედულება ქართველ ხალხის მრავალ საუკუნოების ისტორიაზე, რომელიც ჩვენს მწერლობაში წინადაცა და ესლაც გაბატონებულია, მხოლოდ საისტორიო წყაროებისა და მეთოდების უცოდინარობაზე იყო დამყარებული. 8 წლის მუშაობამ არსებითად შეცვალა ჩემი შეხედულება და დამანახა, რომ ჩვენი ერის წარსული ბევრად უფრო საყურადღებო და საგულისხმო ყოფილა, ვიდრე ჩვეულებრივ ეგონათ ხოლმე — გულისტკივილით აღნიშნავს დიდი მეცნიერი წიგნის შესავალში და დასძენს: “ქართველ ერის ისტორია” ამ სამი წლის წინად არის დაწერილი და მხოლოდ ახლა ელირსა მას დაბეჭდვა. ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ჩემდა ცდის მიუხედავად წიგნს მაინც კორექტურული შეცდომები შეეპარა: ჩვენი სტამბები სამწუხაროდ სამეცნიერო წიგნების დასაბეჭდავად მოწყობილი არ არიან. მე აზრად მაქვს, ისტორიისათვის ძველ ნაშთებისა და მოღვაწეების სურათები და საგუგრაფიო რუკები დამერთო, მა-

გრამ ამ წიგნისათვის ვერ მოხერხდა, იმედია, შემდეგში ამ დანაკლისსაც შევამსებ. ჩემ მოვალეობადა ვთვლი, გულითადი მადლობა ვუძღვნა ამ ისტორიის გამომცემელს თ. პ. ი. თუმანიშვილს და ბ. ბ. ა. მდივანსა და პ. სურგულაძეს, რომელთაც ჩემი თხზულების გამოცემას ხელი შეუწყვეს, განსაკუთრებით უკანასკნელმა დამავალა მით, რომ ბეჭდვის დროს სტამბას თვალყურს ადევნებდა და წიგნის გამოცემას აჩქარებდა. ვისაც ერთი წიგნი მაინც დაუბეჭდია ჩვენებურ სტამბებში, ის ადვილად მიხვდება რამდენი დრო და მოცულობა უნდა დაქარგოს ადამიანმა, ვიდრე წიგნის ბეჭდვას დამთავრებს.

08. ჯანაპირში. 1908. 30. VIII.”
“ილორის” მკითხველები უკვე გაცნობილები არიან აღნიშნულ ნაშრომს, რადგან იგი სრულად დაბეჭდა გაზეთის ფურცლებზე ჯერ კიდევ 2010 წელს, მაგრამ მისი წიგნად გამოცემა მაინც საშუალოდ მიგვაჩნია, რადგან ტირაჟის უდიდესი ნაწილი უნებაროდ გადაეცა სამეცნიერო რაიონის სოფელ “ილორთან” მშენებარე კვლევისას, რათა მისი რეალიზაციით შე-


მოსული თუნდაც მცირედი თანხა მოხმარდეს მშენებლობის დამთავრების საქმეს.

წიგნის თავფურცელში ჩვენ მადლობა მიუძღვნით შპს „ექსპრესსერვისი-2008“-ის მესვეურებს, ბატონ გიორგი ხაჭალას და ქალბატონ ნაზი ქობალას, წიგნის გამოცემის საქმეში გაწეული ფინანსური დახმარებისათვის, რასაც კიდევ ერთხელ სიამოვნებით ვიმეორებთ ჩვენს გაზეთში.


აქვე გაუწყებთ, რომ გამოსაცემად ვამზადებთ დიდი ივანეს ამ ნაშრომის მეორე წიგნს, რომელიც, იმედია, მალე იხილავს მზის შუქს.

გაზეთი “ილორი”

იპანე ჯანაპირშილი



ქართველ ერის ისტორია



ალიო ქობალია — მეგრული ლექსიკონის ამაგარი

შესანიშნავი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ალიო ქობალია** დაიბადა 1927 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიხოვოში, ლექსობადაც უბანში. 1952 წლიდან 1993 წლამდე ცხოვრობდა თბილისში, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, მუშაობდა თბილისის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილედ. არის ავტორი სოხუმში გამოცემული პოეტური კრებულებისა „ეთერი ბილიკი“, „ნისლი ჭალაში“, „ველის ყვავილი“, „წინარი თოვლი“, „ნაღვლიანი დღე“, „ცისფერი კვამლი“, „შენი სახელი“...

2010 წელს გამოცემულ „არტანუჯმა“ გამოსცა ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“, რომელიც მოიცავს დაახლოებით 90 ათას ლექსიკურ ერთეულს და ძირითადად ეფუძნება აფხაზეთში (შუასოფელსა და სამურზაყანოში) და სამეგრელოში (ოდიშსა და ლაქადაში) მოძიებულ საველე მასალებს, ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში შემორჩენილ, წარმართული ხანის მაგიურ სიტყვა-ფორმულებსა და უფრო გვიანდელ შედოცებში, ნაკლებად შესწავლილ მიკრო-ტოპონიმებში ჩამოყრდნობით და, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დროის ქართველი და

უცხოელი ენათმეცნიერებისა და ლექსიკოგრაფების მიერ შეკრებილ, დამოუკიდებელ და გაანალიზებულ კოლხიზმებს, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს. ლექსიკონში ცალკე ერთეულად, სიტყვა-სტრუქტურის სახითაა შეტანილი მეგრული ლექსიკონის დამახასიათებელი იდიომატური და სხვა ორ და მეტსიტყვიანი მყარი გამოთქმები, მთხრობელთაგან ჩაწერილი და ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი რიტუალური და სხვა ხასიათის ცნებები და ტერმინები, რომელთა საგრძნობი ნაწილი აქამდე არ დაფიქსირებულა, რაც ზრდის ამ ნაშრომის მნიშვნელობას ქართველური ენებისა და საქართველოს ეთნოგრაფიის შესწავლით დაინტერესებული მეოთხედიანობისთვის.

სამწესწაროდ, აფხაზეთის ომმა შთანთქმა ალიო ქობალიას მრავალწლიანი შრომის შედეგად შექმნილი ეთნოგრაფიული ჩანაწერები, მათ შორის ძიებანი ქართველთა, სახელმწიფო, მეგრულთა კონსოგონური მითოლოგიის სფეროში, აფხაზეთში შეკრებილი მასალები ფრაგმენტული, ონომასტიკური, მიკროტოპონიმური ლექსიკონებისათვის, დაუსტამბავი ლექსები და პროზაული ნაწარმოებები, მაგრამ სულთ გაუტეხელმა შეძლო მათი აღდგენა და შევსება დენილოვის შემთხვევით.

ალიო ქობალია გარდაიცვალა 2006 წელს, ქალაქ ზუგდიდში, დენილოვის მაცხოვრისკარის სასაფლაოზე. გაზეთ „ილორის“ მკითხველებს ეთავაზობთ რომელიც სულგანთლელად ალიო ქობალიაზე დაწერილ ლექსს და მცირე პუბლიცისტურ პასაჟს, ასევე ერთ-ერთ ამონარიდს მისი მდიდარი შემოქმედებიდან.

ბენო კალანდია

ალიო
ნუ გაკვირდები სიმინდის ფოჩით,
ნურც შემოდგომის ყვირთული ფერით...

საქართველო დღეს: ავღანეთის ომის პატივად, ვიხა-პოლკოვნიკი ალავერდია — ქუჩის მუსიკოსია!

სულ ერთი ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში ლუისა ავაბალიანი. შეჯიბრების ყველა პრიზიორმა უფლება მოიპოვა, მონაწილეობა მიეღო „მესამე“, ხანდაზმული ადამიანების საყოველთაო ქართულ ტურნირში, რომელიც ოქტომბერში გაიმართება და ვეტერანთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნება.

თუმცა, ალბათ, დროა, ვადიაროთ, რომ ტურნირის ტექნიკური შედეგები შედარებით ნაკლებად მაინტერესებდა. აქ ხომ, უწინარესად, ვეტერანების ურთიერთობის ზეიმზე მოვედი. ტურნირი ვეტერანთა აქამინდელ ღუხტორ ყოფაში, უპირველესად, ნუგეშია, რომელიც, შესაძლოა, უკეთესი წარსულის გახსენების საშუალებას იძლევა... ამასთან, ჭადრაკი ჭადრაკის მოყვარულთა შორის საინტერესო, გამორჩეული ხალხი აღმოჩნდა. მაგალითად, სვეტლანა კალანდარიშვილი — საბჭოთა პერიოდის მრავალი დიდი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, ანდა 87 წლის სერგო სტეფანეს ძე აბასიევი, პოლონეთის განმათავისუფლებელ ბრძოლებში რომ მონაწილეობდა და უკრაინას ბანდერებისგან წმენდა. მათზე ოდნავ მოვიანებთ უთუოდ გაიმართ.

ახლა კი შევიტყობთ მეორე პრიზიორს, გადამღარ ვიცე-პოლკოვნიკ გურამ ალავერდიაშვილს გაგაცნობთ.

გურამ გიორგის ძე ჩემი ძველი ნაცნობია, არანეგულდებრივი მუსიკოსი — საქსოფონისტი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებული ძალების სასულე, შემდეგ კი შს-ის ორკესტრში უკრავდა. ხოლო რაკიდა სატელევიზიო სახელმწიფო პროგრამაში, რომელსაც იმხანად გხვდებოდნენ, გამომდებით ჟღერდა ცოცხალი „მილიტარისტული“ მუსიკა, ეს ჩვენი საკმაოდ ხშირი შეხვედრების მიზეზად იქცა. ასე რომ, ჩვენი გულითადი საუბრის ხელისშემშლელი მიზეზი ვერ გამოიძებნებოდა.

— **ბატონო გურამ, უსაქმოდ ხომ არ დარჩით, დიდი ხანია, ორკესტრში არ გამოჩნდებიან.**

— ალბათ ისევე უსაქმოდ დავრჩი, როგორც სხვა ათასობით ჩამდვლი სპეციალისტი, ვინც 40 წლის ასაკს გადაბიჯა. ე. წ. გაახალგაზრდადების პროცესი ხომ

ტყის კაცი იყო, — ის ორკონი ლექსობადაც რომ მოადგა ცხენით. ბევრი ვსვით... ბევრი ვიარეთ ერთად, ტეხურის წყალთან აყვავით ფიჭვებს, მაგრამ ალიო არ იყო ჩვენთან, ის დალიდასთან უნახავთ ბიჭებს. მხეხებ მცხუნვარე ილორის გაველით მკნის სული გამოჰყავს ძაფით, ღია ახლა თურმე ის კარი, მანდ რომ ჩაკეტეს იმ ბნელი ღამით. მოდის მრავალგზის გვემული მოქვით, რომ ვალდებულნი ვართ დავუგავს უფალს, მარადის მშვიდი, კეთილი, სანდო და წმინდანით წრფელი და სუფთა.

გიორგი სიჭინავა:

„პატარა ზღვისპირა ქალაქში, თანამდროში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჭეშმარიტი პოეტი, მუდამ შემართული და მამულისთვის გულანთებული, გულდასმასთან და სამეგობროდ დაბადებული კაცი, ალიო ქობალია. იგი ამჟამად ოჯახთან ერთად დენილოვის დროებით ზუგდიდში ცხოვრობს.“

ვინც კი ამ კოლორიტულ პიროვნებას ერთხელ მაინც შეხვედრია, არ შეიძლება სოხუმისკენ გახად მიმავალი თანამდროში არ მყოფებულიყო და მცირე ხნით მაინც არ მოენახულებინა იგი.

უნიკალური ბიბლიოთეკის პატრონი, თავს უმდიდრეს კაცად თვლიდა და ამ სულიერ საგანძურის ანარეკლი სხივებით ციმციმებდა მის ყოველდღიურ ყოფასა და საქმიანობაში. ასეთად დარჩა იგი ღვთისმშობლის ამ უუგადოდ დროშიც, დღეს იგი უუგადოდ რეგიონული შემოქმედებითი გაერთიანების თავმჯდომარეა და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობს ცქვევ. ამჟამად მუშაობს ისტორიულ რეზანზე (მაშინ ალიო ცოცხალი იყო...)

ალიო ქობალია

კოლხი

მე მოვიდოდი, მეგრულად გულდებარებულად, დევივით ლოდებს ფეხს ვაბიჯებდი... მე მოვიდოდი ათასწლეულ მრუმე ღამითა, საშინაო თვალთა პირისპირ მხერით. სუდარა გაცვდა ქალკიოპეს ცრემლით ნაქარგი, მიწამ ვერ ჰგამ მტრების სისხლში ნაფერი ჯაჭვი, ქარში ჭიხინებს დარახტული ჩემი ულაყი და გულზე მადევს ხმლის ვადასთან შეზრდილი მაჯა.

სამეგრელოს მთაში

ამწვანებულ მთათა შორის, ცა ქულად აქვთ მწვერვლებს. განა ერთი, განა ორი, — სიზმრიანი ელვარე. ჩეგვალა და ოთიფურა ლაკამურა, თხეში, — დღემდე აღარ მოთიბულან, მტრები რომ გეყავს, შენ იცი. რა იფიქრა ვერა წუთით, რომ გეიქნა ლეკური... მარჯვენა იდგა დეირას ლუდი კლდეკარებთან ცეკურის. მამაცურად წამოშვებულან სიმალღანი დიდგული, მშვენიერი ჭითა გვალა, მარჯვენა ცაში კიბული. ხანდაზმუი, საოჭოი, ჩვენი ნატახტაშ დუდი... სად გვეცალა საროჭიკოდ, მტერს მივსდევდით ქვაგუნდით.

რაფიელ პრისტიანი ზაფიფი

ლტოლვილობაში ისევ სიბნელე, პოეტის ძველი ბაღის კიდესთან... სიბნელე სიბნელეს ისე იფერებს, და მე შევერე, როგორც ქიტესა. ბერუას ჩივილს გულთან მიიტანს, სესიას მტერთა ღანძლა მიზანი... ქუჩას აწყდება სევდა დიდიდან, —

იქ, ათასობით დადის ხიზანი. დაიარება გუდამშიორი, — ხშირად უძღური ძე და ასული... შორს დარჩა ზეცის დასალიერი,

შავ დროსთან გვედარა წარსული. მოსაგონია, ახლა ძველი დრო, — არის ღალატი, წვა და წვალება... მაინც რამეფრად უნდა ვეროთ, ამ დაძალებულ გარდაცვალებას. პოეტს შეგინი, რიდი: ეს იყო, — გამწირეს, მაინც სიკეთე ვთესე... მე, აქ, დღე და ღამ ვადგენ ლექსიკონს მამულს გუტოვებ ცრემლიან ლექსებს.

ოლაპაღუი

დიაჩქიმო ჩე კისერს დარაია გაფარვალუ, ოდაბადე ოხვამერს მარა ვაკო ნაზარბალუ. სანთელ გილაქიმინელს ორთევი მიშევალუ, ღორთითში ფსულაური ნირსო ცაშა მისარსალუ.

ანა საჯიხა

ადა მარია, დადა მარია, სი დომთილუ დო სი დეზარია ჩქიმი მთა დო ბადიში ნარდია... თამ იხვამანდუ ანა საჯიხე. ადა მარია, დადა მარია, სი გემწონია ცოდა დო მარდია, ცოდა — ჩქიმი დო ნარდის მომდარია თამ იხვამანდუ საჯიხე მახვამერი. ადა მარია, დადა მარია, კიდირს გიფინუნია ია დო ვარდია სი ქოიქუნია ნანაიაშ დარდია — თამ იხვამანდუ საჯიხა დადი. სანთელს გარენია ჩილაშურია, უღუშა გემირთუნია ხაჯალურია, სქანდა მუკომჭოფუნია ღურელ გურია — თამ იხვამანდუ საჯიხე განვარებული. ადა მარია, დადა მარია, დამჩირო გუმორზუნია ზისხირელ ოსარია, ჩქიმი სქუაშ ნომირიენ დო სქანიში, ვარია, ვირხოლოშიავო, დიდაქირსე! — დადიქ.

მოდი, ჭადრაკით დავიწყებ, რადგან სწორედ მან შთამაგონა ამ სტრიქონების დაწერა...

ამასწინათ თბილისში ჩვენი დედაქალაქის ხანშიშესულ ომისა და შრომის ვეტერანთა ტრადიციული ტურნირი გაიმართა. ამჯერად ტურნირი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს მიეძღვნა. მისი ოთხი მონაწილე ერთმანეთს შეეცადრეს სისტემით ეჯიბრებოდა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები როგორც პირად, ისე ჯგუფურ შემაღვენლობაში. რამდენადაც ჭადრაკის შესახებ ჩემი მწირი, თუმცა მცოდნე დამკვირვებელთა მოსახრებებით გამდიდრებული ცოდნა ამის განსჯის საშუალებას მაძლევს, მაგდასთან ყველა შემოქმედებითი ძიების ხასიათი ჰქონდა, თუმცა, არა — ყოველთვის წარმატებული. ამიტომაც ძველი სამხედროები ემოციებს ოხერითა და ხენგვით, თვითგვემის ამსახველი რეპლიკებით გამოხატავდნენ შეცდომის ან უზუსტობის, ხელიდან გაშვებული შანსის, ან უნებლიე დაუდევრობის გამო. მოკლედ, ყველაფერი ისე იყო, როგორც ეს ხალხმრავალ პარკში ხდება, სადაც ჩვეულებრივ, ამ უძველესი თამაშის მოყვარულები იკრიბებიან. და მადლობა ღმერთს, რომ ასეა...

იოლად მიხედვით, თუ რა მქონდა მხეველობაში, როცა შეიტყობთ, რომ ტურნირის ორი მონაწილე — სერგო აბასიევი და ვახტანგ ბაბუნიძე 87 წლისაა, არიან! ორივე დიდი სამაშულო ომის მონაწილეა, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მათ გარდა, ჭადრაკი მოჭადრაკეთა შორის იყვნენ ავღანეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეებიც.

ახლა კი ორივე სიტყვით ამ შეჯიბრის ტექნიკური შედეგების შესახებ მოგახსენებთ. საბოლოოდ ჯგუფურ ბრძოლაში დაწინაურდნენ „აფხაზეთის ომის“ ვეტერანები, რომელთა შემადგენლობაშიც თავი განსაკუთრებულად გამოიჩინეს ზაველი გოგოლიაშვილი და ვლადიმერ გაბედავაშვილი. მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, გავიდნენ ქართველ დღევანდელთა ასოციაციის გუნდი „საგანე“ და საქართველოში რუსეთის თანამეგობრულთა კავშირის ნაკრები „ოტინზა“. პირად ნათევიაში ყველა უკან ჩამოიჭრა რამის ჭუბაბრიაშვილი. მეორე ადგილი ერგო გურამ ალავერდიაშვილს, რომელიც გამარჯვებულს

მეთქი. მაგრამ თავისი არ დაიშალა — დედაჩემს ძალიან უყვარდა ეს სიმდერა და მისი სხონის პატივსაცემად აიღეთ ეს ფული.

ერთხელ, მასხოვს, „ბლატნი“ ბიჭები მომადგნენ, ჩამაცივდნენ, — „ასეთია ქურდი კაცის ბედი“. დავიკარი, ბაბუჩემო, არ გაწვენიბეთო. ვარსკვლავი, მაგრამ მაინც უარი ვტყვიც, ღმერთმა არ ქნას, ასე დაეცეც...

აქვე შემოძლია გითხრათ, რომ გურამ ალავერდიაშვილის რეპერტუარში შოპენის, შუბერტის, ოდესლაც ცნობილი სიმღერების — „სიბონე“, „მონა ლიზა“, „ფლორენციის საღამოები“, „საყვარელი ვალსი“ და სხვა მელოდიათა. შესრულების არჩევანი იმაზე დამოკიდებულია, რამდენად ზუსტად განსაზღვრავს იმ ადამიანების სულიერ „შიგათავსს“, მისი მოქვითინე საქსოფონის მისასმენად რომ შენერდებიან. ამიტომაც მიანია, რომ მარტო მუსიკოსი კი არა, ფსიქოლოგიცაა. ამიტომაც იღებს თავის ხელგნებაში ფულს ეს არტო მთლად ჩვეულებრივი, უფრო სწორად, სახეებით უჩვეულო ქუჩის მუსიკოსი — მის შვილი-შვილებს ძალიან შიათ.

ამასთან, ერთობ მიმივა იმის გაცნობიერება, რომ ავღანეთის ჯოჯოხეთ-ამოვლილი ვიცე-პოლკოვნიკი, საუცხოო საქსოფონისტი გურამ ალავერდიაშვილი იძულებულია, მისი ღირსების ვეოდენ შემლახველი საშუალებებით იშოვოს ფული!

გურამ გიორგის ძე თავისი სანუკვარი ოცნებაც გაიანდო: შეკრიბოს ერთხელ ყველა მუსიკოსი, რომლებიც ლუკმაპურს მიწისქვეშა გადასახველებსა და ხალხმრავალ ადგილებში მოუღებენ, თუნდაც ერთჯერად, მაგრამ მაინც კოლქტივად და საქველმოქმედო კონცერტს გამართოს იმათ დასახმარებლად, ვინც ამას მათზე მეტად საჭიროებს.

ჩემი აზრით, ჩინებული იდეაა. იქნებ ის მდიდარ ბიჭებსაც ჭკუაში დაუჯდეთ და სასიკეთო, ღვთიური საქმისთვის ჯიბეზე ხელი გაიკრან.

აი ასეთი იყო ჩემთვის, საქინფორმის კორესპონდენტისთვის, ვეტერანთა პირველი საჭადრაკო ტურნირი, რომელიც საქართველოს დღევანდელთა ასოციაციამ ჩაატარა ქალაქის მერიის მხარდაჭერით.

ბიჭი ბაბრამი, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“

მეზობელი

ბორჯი მემრა

როცა საკუთარი უგუნურობის ამარა დარჩებიან, მოხვეჭილი განიავებულა, სათანადო გონება გამსხტარა თითებს შორის, რამეთუ მათი მიზანი ხომ ძირითადად შეგროვება: უკეთესი სავარძელი და ტახტა. უკეთესი ჭალი და ხალიჩა. უკეთესი მაცივარი და ტელევიზორი. პრესტიჟული სასწავლებლის დიპლომი, ცოდნა კი ნივრის ქერქის საფასურია, ხოლო ოდეს ხელის განვდენამდე ორი ნაბიჯი დაშთენილა, რანაირი პრეტენზიულობით დაესევიან თავზე მისიანებს! როგორ გამოხრავენ ყუათიან ულუფასავით მათ საარსებო ბელელს და გააჩანაგებენ ჭურჭელ-თეთრეულს, თვალსაც არ დაახამამებენ ისე! ქორწილებსა და ქვლებებში კი შემოივლიან წელიწადში ერთხელ შესვეული ფუთით ან სამი გოჭქათმის საღირალი გინაფოთამალ-გინაფორალით და მიუჩინარდებიან, მიიკარგებიან, ფრანგული ლექსისა არ იყოს, შარშანწინდელი თოვლივით, ძრომდე დაიყვანენ დამზდურის საკუჭნაოს, ამგვარი განცხადებით:

— ჩვენ ყველაფერი დავკარგეთ, თქვენ კი ხარო თქვენს გემოზე! — მაგრამ ის კი არ შეუგნიათ, რამ, რამ დააკარგვინათ ყოველივე! განა რაიმე ჯადოქრობამ! ტყვიამ ან ავტომატმა! არაფერიც, ჩემთავმკვდრებო! ისევ იმ მამონას, ჭინჭებს გამოდევნებამ!

ბიბლია კი გვასწავლის, ჯორ-აქელ მის აკიდება საგანძურის შექენაზე, დიბა-ფარჩისა და ხალიჩების შოვნაზე ასწილ უმჯობესია მეგობრების მოპოვება, სადაც უსაყვედუროდ გადაითენებ ლამეს, თვეობით, წლობითო... თუმცა ასეთნაირი გონებისანი ჩვენ ვინა გვექმნა საკუთარ კედლებში ჩაკეტილები, წინილის ძალისხმევაც რომ არ გავაჩნია, ნაჭუჭი გამოვანგრიოთ და თვალებში გამოვიხედოთ!

ზემოთ გაგაცანით ბესო მესხიას დღიურიდან ამონარიდი, სადაც იგი სილასავით გაგვასწავს სახეზე ჩვენი გულციგობა-გულგრილობის ჯილდოდ სამყაროსეულ განაჩენს და ათასგზისაც რომ დაგვიბრუნონ ზურმუხტი აფხაზეთი, მეჭვება ვივარგეთ თხლებმა მის პატრონად, რამეთუ საკუთარი სულის ვერ მოდარაჯე კაცის მამულის ბჭეების მეციხოვნედ ვერ გამოდგება.

მე სიტყვა მიშველის, პოეზიის მათრობელა ბუნება. შემოქმედებითი უნარები გადამატანინებს აურწყავ უყურადღებობას, სიცივეს, გაუცხოვებას, რომლისკენ სწობიზმით შეჰყრობილი ქართველი მერვე წელია მეგასიჩქარით მიილტვის და რომელსაც კაპისადისტური ურთიერთობა ჰქვია პოლიტიკონომის ენაზე, ანუ საკუთარ ბაკანში გამოკეტვა, საკუთარ სისხლში ჩყუმპალაობა, იქვე მოსაქმება, სადაც გენსადილია. ჰოდა, გაფრთხილებთ, მაგ სენმა მოინელა რაინდული სულის ჯარისკაცი ბესო მესხიაც.

დიახ, ამ ყინულეთის და ნი ძლიზმის სინდრომმა და არა — ცხელმა ტყვიამ! მერე და ვისგან; თოფის დანახვაზე კურდღლებივით რომ ცახცახებენ, არადა, თავისუფალ აფხაზეთში კი სწადიათ საუკუნო დამკვიდრება.

არა, შვილსა! ჯერ თომა გელენავას უნარს გამოუხმეთ თქვენი მობოშებულ-მოზღაგებული სულებიდან. ერთმანეთის გასაჭირს სანთლები დაუნთეთ, ძვირფასო. ერთმანეთის სატიკერებს მიაყურადეთ, ჩემთავმკვდრებო. გაჭირვებული თვისტომის წილ შვილების კუთვნილი ლუკმა გაიღეთ, და მხოლოდ მერმე, მხოლოდ შემდგომ ელირსებით მშობლიურ აფხაზეთს! წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერანაირი კანონი აღგიდგენთ უფლებას იმ კურთხეული ცის ქვეშ, ვინაიდან ვიცა არ უყვარს, იმას არც სძულს და ამ ურთიერთ გადაჯაჭვული გრძნობის უქონელს, მეჭვება სამშობლოს დაცვა ძალუძდეს, მეჭვება ქვეყნის გადარჩენა შეეძლოს.

ვინც იძახის, — „**მაინ პაუზ, იზ მაინ ქასტლ**“, — ს, ბარემ განგმარტოთ რისთვის ვერ გაუძღეს ამ კედლებმა აფხაზ-სეპარატისტთა, გნებათ — დაქირავებული ბოვეიკების გულმოცემულ შემოძახებას; რისთვის ჩომოიქცევა თქვენი ბრჭყვიალა ნივთები, დიბა-ფარჩა, მონკარუნე ბროლის ჭურჭლეულობა ამ შენ რიალბასა შინა! იმიტომ, ჩემთავმკვდრებო, რომ რამდენადაც თქვენ მოგინამქერდათ გულები ერთმანეთის მიმართ,

იმდენად ესათუთებიან ერთმანეთს ოდესლაც ჩვენი ძმები — აფხაზები...

დიახ, ჩეხურ უნიტაზებს, ფინურ შპალერს, იტალიურ ხელსაბანებს და მისთანებს დასდევნენ, ამ საყოველთაო წარღვნის შემდეგაც, ვინიცობა აფხაზეთში დაბრუნება დაგვიანდეს, თავიანთი უფალი გავა-თქმოსთვის საპატიო ადგილი ამთავითვე დაიჯავშნონ, ასეთები, მენდეთ, ველარასოდეს შევლენ ქანაანში, ვინაიდან მოსეს მრევლი სარგებლიანობისა თუ მამონასმომდევრობისგან, იგივე საზიზღარი მონური ფსიქოლოგიისგან, დიახაც, ორმოც წელიწადს უდაბნოში ხეტიალით უნდა განინმენდოს და მხოლოდ მერმე დააბიჯებს ფეხს ალთქმულ ქვეყანას.

იქ მარტოოდენ მამულისთვის გულანთებულნილა შევლენ, ლერი და თენგიზ ფეტვილები, ძუძუმტე თუ ბესიკ მესხი — ასნაირები ჩვენი სანათესაოდან, მაგრამ რადგანც ორასეულის ფონზე ოთხი პიროვნება ორი პროცენტი მხოლოდ და ეს მაჩვენებელი ვიდრემდის არ გაათმაგდება, გაოცმაგდება... მოგვიწევს გვარიანობით დახლებთან კოლეგტებისა და ბარაქიანი კურთების ფრიალი ეროვნული დროშების სანაცვლოდ.

ეს ყველაფერი ზოგადი შტრიხებისთვის, სინამდვილეში კი საქმე გაცილებით სერიოზულად გამოიყურება, ვიდრე რეალურად ილანდება, იმ აისბერგის მსგავსად, მესამედიტლა რომ მოჩანს წყლის ზედაპირიდან, დანარჩენი კი, ორჯერ მეტი მასა, ოკეანის უკიდვეგანობით გარინდებულია.

რალა შორს მივდივართ, აგერ, ჩვენს თვალწინ, ნახევარი წელიწადია ზეზუურად დნება და იღვწებოდა ამბროსის ერთ-ერთი შეილიშვილი, ისკალონის უფროსი ვაჟი, ვალერი გელენავა, ეს ენერგიული ახალგაზრდა კაცი, ორი შვილის მამა, რალაც ბიზნესს იძულებით გადაგებული-დადარაჯებულია, ექვს თვეზე მეტია სიო არსაიდან ფაჩუნობს, პირდებიან, დღეს იქნება, ხვალ, ზეგ, მასზეგო, მაგრამ დრო გარბის და პრაქტიკული შედეგი არსაიდან ჩანს.

რა ქნას, რა წყალო ჩავარდეს; შვილებს ტელეფონით ესაუბრება მაკიეევკაში, ტანსაცმელი შემოაცვდა, კვლავ თომას სისხლისანი გაუმართავენ ხოლმე ხელს, მაგრამ თითო-ოროლას გამოსარჩლება რას უშველის აწიოკებულ მის მდგომარეობას; ლობიოთი და დამადლებული პურით სული ვერ უცხოვნიბა ოდესლაც მომლხენს და გალალბულს.

იყო დრო, როდესაც ვალერი გელენავას ფინანსურ ლელოში ფორტუნა სწყალობდა, ისკალონოვოჩით მიმართდნენ, საკუთარი მალაზიები და სასადილოები ჰქონდა, მაგრამ აიყრებიან სამურზაყა-ნოდან ლტოლვილი მისიანები და როგორც ბუზი — თაფლს, ისე დაესევიან ბოლომდე ამოსაწუნდად.

ერთ ბიძას ციკანს დაუკლავს და მერეს გოჭს რომ აკადრებს, ეს უკანასკნელი აუფხუვიანდება, ხოლო მესამეს უკრაინულ ბორშჩს რომ მიმართმევს ყუათიანი არაყით, მთლად განინმეტდება მავანი, არადა, ისე გაიზარდება ეს მთაკაცი, ცხვირსახოცის საფასური ვინმეს იშვიათად ეწყალობოს, იქ, კი მოგვცათ ლხენა, ყველა მოინდომებს მხრებში გაშლას, ფეშენებელურ ბინებს, სარფიან სამსახურს, მანქანას, ყველა მოითხოვს ცოტამატა ფულს ბიზნესის ასაღორძინებლად და რომ დაესევიან და დაესევიან, ბდღვირს აღენენ წელიწადს ნახევარში, როგორც ყუდათ შარაშიას მოურავ ძვაკვალას გვარ გელენავას არშინიანი გოჭები, საკუთარი რომ შემოეღევა, გულმართალი კაცი აქეთ ივალებს, იქით მანქანას გაყიდის, მერე სავაზმო ფულის სესხებაც მოუწევს მეზობელი ყვეერისგან და საქმე იქამდე მიუვა, რომ გუდანაბადს აიკრეფს სახლ-კარიდან, ჰოდა, ჩარჩენილ ახალ ზუგდიდ-ქალაქში, რალაც აბსტრაქტულ ბიზნესის გამართლება მის მომლოდინე, ზუგდიდში, სადაც ლორჯოს ყურებიდან გროშებს ფხევენ და ყოველი მეორე ოდიშელი საქმიანი კაცია, ცხადია, ლაქარდინი ენით, სინამდვილეში სამი წელიწადია ლობიოსა და მწნილს იქით მის სტომაქს არ უხეირია.

რომელ ბიზნესზეა საუბარი, როცა ყველაზე წელგამართული ზუგდიდელიც კი მეჩერზე გარჩენილ ხომალდს ჰგავს და ამოდ ელის წყლის მოქცევას, ვინიცობაა მეც ამიყოლიოს იმ ნაკადის დინება-

მაო, ამისთანა სიტუაციაში მართლაც გულუბრყვილო უნდა იყო რაიმე რელური მიღწევისა გჯეროდეს.

ერთ-ერთ ნათესავს, რომელსაც შედარებით უკეთ მიუდის საქმე და ითავოს — შეუძლია სისხლ-ხორცის გასაჭირიდან ამოყვანა, ვეკითხები:

— რა იქნება ყველამ მოვინდომოთ, ცოტ-ცოტა გავიჭირვოთ და რაიმე ვუშველოთ-მეთქი.

— სად არის თორემ, მილიონიც მქონდეს, კაპიკის მიმცემი არ ვარო, — გამიშლის ხელს — სულ ერთია დაღვეს, მიაპრადალებსო, — და ასე მოუძებნის გამართლებას საკუთარ წუნურაქობას თუ მოყვასის სახვალთ პერსპექტივებს, — უმჯობესი არ იყო ამდენი ხანი რაიმე სარფიანი საქმისათვის მოეკიდა ხელი!

— კი, მაგრამ რითი! თავის დროზე თქვენ რომ მოგახარჯათ ის ფულები ხომ ოთხ კედელს შორისაა გამსხტარი-მეთქი.

— არ ვიციო, — მოსჭრის და ვითომ სიმწრისგან თავის კანტურით მიღეთ ხალხში თვალს მიეფარება, ეპ, როგორ ჩასვენებულია თომა გელენავას მიშა ფეტელავას თუ ნაპო ხუფენიას ურთიერ-თგატანის, ქომაგობის მაღლი!

მაჰადიანი ასე არ იზამს, უსამართლოდ ურჯულოს რომ ვეძახით ქრისტიანები: ქუდაზე კაცს შეკრებს, უკანასკნელ პერანგს გაყიდის და სისხლ-ხორცს გაჭირვებას მოარიდებს, მაგრამ სად არის მსგავსი განცდა! ის ხომ დიდი ხანია დაუკარგავს მხოლოდ პირადულს, მხოლოდ საკუთარს გამოკიდებული ბრბოს თახსირ ბუნებას!

არა, ამისთანები ქანაანში ვერ შევლენ, გნებათ ასჯერ ორმოც წელიწადს ხეტიალობდნენ აღმა-დაღმა უსულგულობის ყიაშეთ უდაბნოში!

ბორჯი მისამე

აქამდე ჩვენს ქუჩას გადავავლეთ თვალზე რეულად, აწი ცოტათი წინ წავინიშოთ:

გზაჯვარედინი ოტობაიას არა აქვს, სოფლის ცენტრისკენ დაადგები თემშარას, სკოლის ეზოს წინხედი მესერიტაა შემორაგული, სასექტემბროდ ცისფრად იღებება იგი.

დიდი მოედნის მშენებია კინოთეატრია, ვერც კი მოვასწრებ თვალის დახამამებას, ისე აშენდება, დანადგარებს მოიტანენ, დაამონტაჟებენ, საღამოობით ხალხის ტევა არ არის, განსაკუთრებით ინდურ ფილმებზეა ზედახორა, ოთხასზე მეტ კაცს იტევს დარბაზი და ყოველთვის გადაჭედულია, ელექტრომონტიორი, ანუ სენანის გამშვები ორია — გუსტა ალფრედი და ვაგი იზორია. შუქი როცა გამოირთვება, ხალხი დიდ ჭირ-ვარამშია.

ტელევიზორი ჯერ იშვიათი ხილია, სამეზობლოში მხოლოდ იაშა ამორტიას, ქანქანასა, აქვს მუშტისსისხო ტერანია — ნი, ფეხბურთის რეპორტაჟის გერანსა — ციხისას ასამდე კაცი იკრიბება მათსას.

კინოთეატრი კი მართლაც ჩინებული გამოგვადგება, მისი დირექტორი, ახმაზი, გრუზათიმიანი შავუ ქირთბაია აქაურობის ბატონ-პატრონია, თვალის ჩინივით უფრთხილდება ახალთახალ ინვენტარს, ბიჭებს აფრთხილებს: სკამები არ დაჩიქნონ დაწებით, სიგარეტი არ მოწიონ დარბაზში. თუ ვინმე ურჩი მოიხელთა, მიაბრძანებს ქუჩაში.

შავუს ასულების ლაშქარი ახვევია, მეუღლე წელი ახუბა სათნოების განსახიერება მანდილოსანია, წარმოშობით აფხაზი, რუსულს გვასწავლის, ჩემი გულის მესაიდუმლე, მისი კოლეგა პლატონ თაკალანძე, პუჭიკო, ნოჩოს ძმისშვილია, ამ უკანასკნელს ვაჟი გალში დაუსახლე ბია, სახანძროში მუშაობს, მამას იშვიათად ავითხავს და თუ მოინახულა, „პრიმას“, მოუტანს, რამდენიმე კოლოფს. ნოჩოს „პრიმა“, არაფერში ეპიტნავება, თომა ბაბუასავით თვითონ ამზადებს წეკოს და დღემოსწრება ყალიონს აფუილებს.

ამას წინებზე ეწვევა მემკვიდრე ქესეტად, წევს ნოჩო ტახტას მუთაქაზე თავმიდებული.

ორთვლიანი ფიცრულია მისი ავლადიდება, ჭერი ისლით გადაუხურავს, მზის შუქი ატანს აქა-იქ, დიასახლისი სადილს ახაზირებს, მანათობლის სხივები ორღესულებივით მოისწრაფვიან ნოჩოს მიმრეტილი მხედველობისკენ, ბიჭი თავმოშწონებს მესხანძრის პროფესიით, დეტალურად ჰყვება, თუ სად ვისი სახელი, რომელი დანესებულება გადაარჩინა

დანახშირებას, — გეჟეჟვალუას...

— აგერ, ქოხი გენვის რა ხანია და სხვის დვარეცებს აქრობ, ოჯახქორო! — ცხარობს ნოჩო.

მინატკეპნილ აივანზე გამოდის, ჯორკოზე მოკალათებული მოსუსტებული მზერით მისჩერებია ალაგესთან ჭრელი კრუხის გააფთრებულ ბრძოლას ქორთან, თავგანწირულია დედა, პირდასისხლული მოძალადე უკუგდებულია, გვიანია — **პაუ, პაუ** — ძახილი, კრუხი დაუხმარებლად დაცავს შვილებს.

— მომგვარე აქ, — ეუბნება სოვლაყია ვაჟიშვილს.

— კრუხი რომ არ იჭმევა; — გაოცებით პასუხობს ქალაქელი მესხანძრე.

— გააკეთე რასაც გეუბნები! — მბრძანებლობს ნოჩო.

სხვა რა ჩარაა; კრუხი იფხორება, ინისკარტება, აგერ, მიაჩენებს შვილი გაავებულ დედალს.

ნოჩო მომზადებულია დაჯილდოების ცერემონიალისთვის, ზონარზე გამოუბამს ნიკოიას ჯვარი, კისერზე ჩამოჰკიდებს ქათამს სახლეულების გასასახტებლად.

— მე რა ღირსი ვარ ამ მენდალის, — მისძახის თავის კანტურით წაფარფატე ბულ კრუხს, — ცეცხლმოკიდებული ჯარგავლისა და მესხანძრე შვილის პატრონი!

ოხუნჯობის დიდოსტატები გვეყვანან კიდევ, მენისქვილე დოროთე ძაძუა, რომელიც სულ ჰიტლერელების თემატიკაზე იჩინებია.

გერო ტაბალუა, ძუძუსწოვაში რომ ჩაეზიარება გაჯიუტებულ ბავშვს და დაილენება კიდევ გათარანებული დედაკაცისგან.

არდა დგებია, სიმლერა-სიმლერით რომ დაჩლახუნობს სოფელში და ხმის ამოუღებლადც ახარხარებს დიდ-პატარას.

ნოჩო მაინც განსაკუთრებულია, თითოეულის ნიშან-თვისების შემკონავი, გამაერთიანებელი გრიშა იზორიას წამატებით.

კინოთეატრის ხელმარჯვნივ, ქსენია ალფენიძეს ბიბლიოთეკაა განთავსებული, ანჩაბაძეების ოდა-სახლში, ცოტა ზემოთ, ფინურ შენობაში — სასოფლო საბჭო, აღმა გამისონიების შუკაა, ჩემი თანაკლასელი თამაზის დედა, ნათელა საჯახი, მამის თანაშემწეა აფთიაქში, ხოლო ვეშაპკაცი ალიოშა — შეუდარებელი მონადირე, მეთევზე და მომლხენი, აქვე ცხოვრობენ გითოლენდიები.

გაცდები ამ შუკას და ქუჩის კიდესთან ჩონჩორ ჯოჯუას ჯიხურია, მუდამ თავგადაპარული ჩონჩორი ოქროსხელება ხარაზია.

არდადეგების დროს სოფელში ჩამოსული ძუძუმტე იმას-ლა იხილავს დილანელზე საქმეს შემდგარს, შეიპატიჟებს ჯიხურში, სკამს მიართმევს, ფეხსაცმელს აუთვალეირ-ჩაუთვალეირებს, რაიონულ გაზეთ — „**ლენინელში**“, საქებარი წერილი დაბეჭდილა იმ დღეებში თურმე ძუძუმტეზე სათაური — სასახელო შვილი... იქიდან შეუტყვია უნივერსიტეტის სტუდენტი რომ არის, ეკონომისტის სპეციალობას ეუფლება, გამოუტანს ყველს, პურს, ორნახად არაყს, ჩამოუსხამს მგელაძის ჭიქაში მესამედზე:

— მაშ, ეკონომისტი უნდა გამოხვიდე, არა;

— დიახ, — მოკრძალებით პასუხობს ძუძუმტე.

— თუ არ მიწყენ, ერთ სამახსოვროს გეტყვი, ახლოს ვიცნობდი ბაბუაშენ თედოს და მის ძმებს: ბეგის, კირილეს და დომეს, ოტობაიას მინების ნახევარი მათი იყო, ადლისხელა კი ეკმარათ, ფულს მუთაქაში ტენიადნენ, ცხოვრების სიამტკილობასაც არ იკლებდნენ სხვა — თა შორის, მთავარი მინდა გითხრა, ვერავინ დაასწრებდა მათ დუქნების გაღებას, მეც იმ დროისა ვარ, სანამ საყოფაცხოვრებო სახლი მოლაყუნდება, მეცალი შიპლეტი კალაპოტზე მექნება უკვე დაჭიმული, რატომ; ისინი სახელმწიფოსია, მე — კერძო.

— გასაგებიაო, — მიუგებს ძუძუმტე. ჩონჩორი ქეიფის მაზანდის პირველი ამგორებელია, ნახევარ ლიტრიან არაყს შემოდგამს სუფრაზე, ორ-სამ მუჭა თხილს, ჯანჯუხას, სხვები სხვას წაუმატებენ.

მათი თანამეინახეა კბილებწართმეული მზარეული პართე აბშილავა, ჩლოფინა პირით.

გური ოტოპია
(გაგრძელება იქნება)

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გეხიბვლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმეტრებზე მაღალი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოვედინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რეზერვა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები “მარაკანა”, “ატეტეკა”, “ნოუ კამპი”, “სანტიაგო ბერნაბეუ”, “ლუნიკეი”, “ოლიმპიკ-სტადიონი”, “შემდეგ პარკი” და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ “მონსტრებს” ავსებენ პირთაშორეულ დღევანდელი ფეხბურთის “გრანდები”, რომლებიც მონღოლებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს. ამ რეზერვით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ლუიზიტო მონტი
დაიბადა 1901 წლის 15 მაისს, არგენტინაში.
თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში “ბოკა ხუნიორსი” (არგენტინა), “იუვენტუსი” (იტალია).
მონტი ძველმოდური ყაიღის ფეხბურთელი გახლდათ, რადგან იგი საფეხბურთო მინდვრებზე გამოდიოდა მეოცე საუკუნის ოციან წლებში. ეს გახლდათ ამ დიდი სპორტის გარიჟრაჟი, როცა ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული და დამტკიცებული თამაშის წესები. ლუიზიტო მონტი წინ წაწეული ცენტრალური ნახევარმცველი გახლდათ, რომელიც თავდასხმის ხაზს ამარაგებდა პასებით და თავდაცვ ხშირად ერთვებოდა მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრაში. მართალია იგი ხისტ მოთამაშედ ითვლებოდა, მაგრამ მსოფლიოში ცოტა ვინმე თუ აჯობებდა შედეგიანობაში. 1928 წელს მონტიმ ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი მოიპოვა, რადგან არგენტინის ნაკრებმა ფინალური მატჩი წააგო ურუგვაის უძლიერეს გუნდთან. ორი წლის შემდეგ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მონტიმ თანაგუნდებელთან ერთად ფინალამდე მიადგა, მაგრამ აქაც ვერცხლის მედეებს დაჯერდნენ, რადგან ამჯერადაც ვერ გადალახეს ურუგვაელთა წინააღმდეგობა. 1931 წელს მონტი იტალიელებმა გადაიბირეს და იგი “იუვენტუსში” ჩაირიცხა. იგი იტალიის მოქალაქე გახდა და მალე ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც ჩაირიცხა. სწორედ მონტის დიდი დამსახურება გახლდათ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში იტალიელებმა დაამარცხეს უნგრელები, ანგარიშით 4:2. მისი მონაწილეობით “იუვენტუსი” ოთხჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი. მონტი ასევე მონაწილეობდა 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც იტალიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. ამის შემდეგ ლუიზიტო მონტიმ დიდ ფეხბურთს თავი გაანება სოლიდური ასაკისა და ტრავმების გამო.

არსენიო მრიკო
დაიბადა 1915 წელს, პარაგვაიში.
თამაშობდა კლუბებში “ასუნსიონი” (პარაგვაი), “ინდეპენდენტე” და “ურაკანი” (არგენტინა).
ჯერჯერობით, ერთადერთ სპორტსმენად, ვინც არსენიო ერიკოსავით სივრცეში გახდა სახელგანთქმული ფეხბურთელი, შეიძლება მხოლოდ დიდი ალფრედო დი სტეფანო ვადიაროთ. იგი პარაგვაიში დაიბადა და ეზოში ისწავლა ფეხბურთის თამაში, 17 წლის ასაკში კი იმდენად პოპულარული იყო, რომ საქველმოქმედო მატჩში მიიწვიეს ბუენოს-აირესში, რომელიც პარაგვაის წითელი ჯვრისა და ნახევარმთავრის ორგანიზაციამ მოაწყო ბოლივიასთან გამართული ომის დროს. ტრიბუნებზე მსდომი საფეხბურთო კლუბი “ინდეპენდენტეს” მესვეურები იმდენად მოიხიბლნენ ამ ყმაწვილის მაღალტექნიკური თამაშით, რომ მატჩის დამთავრებისთანავე გააფორმეს მასთან შესაბამისი კონტრაქტი და იგი ამ სახელოვან გუნდში მიიწვიეს. საამისოდ გუნდის ხელმძღვანელობამ დიდი თანხა გადაიციხა აღნიშნული ომის ფონდში. თავიდან ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ფიქრობდნენ ამ გარიგების ორგანიზატორები: ერიკოს ორჯერ მოიტეხა ხელი, რის გამოც მას მნიშვნელოვანი მატჩების გამოტოვება უწევდა. მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თითქოს ჯადოსნური ძალა წყალობდა ერიკოს, რომელიც გოლს გოლზე იტანდა. 1936-1937 წლების სეზონში ერიკომ 47 გოლი გაიტანა, რაც დღემდე სარეკორდო მაჩვენებლად ითვლება. რამდენიმე მატჩში მან ხუთი გოლის გატანა მოახერხა. მაგრამ 1941 წელს ერიკო წაენახა კლუბის ხელმძღვანელობას საკონტრაქტო პირობების დარღვევის გამო და პარაგვაიში დაბრუნდა. “ინდეპენდენტე” ემუდარებოდა, რომ გუნდში დაბრუნებულიყო, მაგრამ მუხლის ტრავმამ აიძულა ერიკო, რომ გაენებებინა თავი ფეხბურთისათვის.

პერნანდო შერეირა
დაიბადა 1909 წელს არგენტინაში.
თამაშობდა კლუბებში “ტიგრე” და “რივერ-პლეტი” (არგენტინა).
ფერეირას მეტსახელად “შორტირა” დაარქვეს, რადგან თითქმის არანორმალური ღარტყმის ძალა გააჩნდა. ფერეირა გახლდათ არგენტინული ფეხბურთის პირველი ჭეშმარიტი გმირი. მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში მან 200 გოლზე მეტი გაიტანა, როცა გუნდებში “ტიგრესა” და “რივერ-პლეტი” თამაშობდა. მისი “რივერ-პლეტი” სათამაშოდ გადასვლა, რაც ამ გუნდს 45.000 პესო დაუჯდა, ფაქტიურად იყო პირველი დიდი ტრანსფერული გარიგება, მას შემდეგ, რაც არგენტინაში პროფესიონალური ფეხბურთი დამკვიდრდა. პირველივე სეზონში (1932-1933 წლები) ფერეირამ არგენტინის ჩემპიონატში გაიტანა 43 გოლი, რაც იმ დროისათვის მართლაც გამოგნებელი შედეგი გახლდათ. ფორვარდს იმდენად რეგულარულად გაჰქონდა გოლები, რომ ქვეყნის ერთ-ერთი გაზეთი აპირებდა ოქროს მედლის დაწესებას იმ მეკარისათვის, რომელიც ფერეირასაგან არ გაუშვებდა გოლს.
სამწუხაროდ, ბერნარდო ფერეირამ მხოლოდ ოთხი მატჩი ჩაატარა არგენტინის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. 1939 წელს მან თავისი ბუცები კედელზე ჩამოიკიდა და მშობლიურ ქალაქ რუფინოში დაბრუნდა. 1943 წელს ფერეირა მშობლიურ “რივერ-პლეტის” დაუბრუნდა და ერთიანი აღმინისტრაციული თანამდებობა დაიკავა. 1956 წელს კი ამ გუნდმა დიდი ფეხბურთელის ბერნაბე ფერეირას საპატივცემულოდ ჩაატარა ამხანაგური მატჩი, რომელიც ამ ფეხბურთელის ერთგულების სინონიმად იქცა არგენტინული და მსოფლიო ფეხბურთისადმი.
ბიორტი ჯალალანია

იხმარი

* * *

– მართალია, რომ ამბობენ, ქალები კაცებზე დიდ ხანს ცოცხლობენ?

– იცოცხლებენ, აბა რა იქნება, კაცების სისხლითა და ნერვებით იკვებებიან.

* * *

აგადმოვი ბავშვის მამამ ტელეფონით ექიმს გამოიძახა:

– თქვენს მოსვლამდე რა ვიღონოთ, ექიმო?

– ფული მოამზადეთ! – იყო პასუხი.

* * *

რესტორანში კლიენტი გამწარებული ყვირის:

– ოფიციალტ! კბილსაჩინქნი მომიტანე!

– დაკავებულია!

* * *

საქართველოს პარლამენტის წინ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი და შიმშილობა დაიწყო. ერთი გმელელი დაინტერესდა და ჰკითხა:

– რატომ შიმშილობთ?

– საჭმელი არ გვაქვს, ბატონო და იმიტომ!

* * *

კახელი ჩაჯდა ტაქსში. შოფერმა ჰკითხა: – საით?

– ახლა ამას აბარე ანგარიშები! – ჩაილაპარაკა გულმოსულმა კახელმა.

* * *

– რატომ მცემ, დედიკო?

– იმიტომ გცემ, შვილო, რომ მიყვარხარ!

– ამისხენი, დედიკო, ამდენი სიყვარული რით დავიმსახურე?

სამაგლო ომის გიჟი შთაბრახულება

გაზეთ “ილორის” წინა ნომერში ჩვენ ვიუწყებოდით, რომ, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო “საქინფორმის” ცნობის თანახმად, 2010 წლის 31 ივნისს კრასნოდარის მხარეში, ყირიმის რაიონში, „ვიშას“ ბორცვზე, მაძიებელთა რაზმმა იპოვნა დიდი სამაგლო ომის მებრძოლის, 32-ე გვარდიული მსროლელის დივიზიის მე-80 პოლკის სერჟანტის, 1913 წელს დაიბადებულის, წარმოშობით გერმეკორის (ამჟამად – მარტვილის) რაიონიდან **მიხეილ ლაზრენტის ძე ბაბისონიას** ნეშტი (მონაცემები მაძიებელთა მიერ აღდგენილი იქნა ჯარისკაცის მიერ კომპასზე გაკეთებული წარწერების მიხედვით).

და აი, რამდენიმე დღის წინ სააგენტო “საქინფორმის” რედაქციაში სატელეფონო ხარი გაიხსნა – გამოცხადებულა მიხეილ ბაბისონიას შვილის შვილი!

“საქინფორმის” დიდი მადლობელი ვარ! მიხეილ ლაზრენტის ძე ბაბისონია ჩემი ბაბუა! ახლავე დაეუკავშირდები კრასნოდარს, ბატონ კორეცკის და გადმოსვენების თადარიგს დავიჭერ! – ამცნო “საქინფორმს” აღელვებულმა თანამოსაუბრემ, რომელიც განცდებს ვერ უჭერდა თავს.

გარდა სამაგლო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების მიმართ გამოჩენილი ზრუნვისა, ეს საქმე იმითაც არის საგულისხმო, რომ უამრავ მომლოდინეს ჩაუსახა დაკარგული ახლობელის საფლავის პოვნის იმედი.

წესით, ეს ხელისუფლების საზრუნავი უნდა იყოს, მაგრამ მანქანოტებისათვის არ არსებობს წინაპართა ხსოვნის პატივისცემა.

უახლოეს ხანებში მკითხველს ვაუწყებთ ამ ნამდვილად ამადელვებელი ამბის დეტალებს

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“

დაკავშირებული მარჯანიშვილის თეატრში ინციდენტის გამო

საქართველოში „ეკვადორის კულტურის დღეების“ საზეიმო გახსნას 27 მაისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები, ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია.

მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალგაზრდათა ჯგუფმა პრეზიდენტ სააკაშვილს შოკოლადი ესროლა. ინციდენტის გამო პრეზიდენტის დაცვამ ახალგაზრდები – ვახტანგ მაისურაძე, გიორგი ლაპიაშვილი და დავით ფაცაცია – დააკავა.

ერცვლეულთა თვითმხილველთა ვერსიაც, რომ ახალგაზრდები – ახალგაზრდული მოძრაობის აქტივისტები – თეატრის ფოიეში აპირებდნენ შესვლას, თან პრეზიდენტის მისამართით დაცვის გასაგონად იგინებოდნენ და ხმამაღლა გამოთქვამდნენ პრეტენზიას დაცვის მიმართ.

პრეზიდენტის დაცვის არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, მათ ტერიტორია არ დატოვეს. ისინი სააკაშვილის გამოსვლას ელოდებოდნენ და დაცვას პასუხობდნენ, რომ კანონიერი უფლება ჰქონდათ, პრეზიდენტს დალოდებოდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, დავით ფაცაცია

ციას მამამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ვაჟი თბილისში წინა დღეს დაბრუნდა სახლგარეუთიდან და საპროტესტო აქციაში არ მონაწილეობდა. მისი თქმით, დავით ფაცაცია მარჯანიშვილის თეატრში მიწვეული იყო ღონისძიებაზე პარასკევს და არ არის იქ მომხდარი ინციდენტის საქმის კურსში.

დაკავებულითა ადვოკატ კახა კოჟორაძის განცხადებით, მაისურაძესა და ლაპიაშვილს ბრალი ედებათ საქართველოს აღმინისტრაციული კოდექსის 173-ე მუხლით ჩადენილ დანაშაულში, რაც წერილმან ხულიგნობასა და პოლიციის მოთხოვნის შეუსრულებლობას გულისხმობს.

ადვოკატის განცხადებით, არანაირი შოკოლადი მათ არ უსერიათ, თუმცა, ამავე დროს, ვერ აზუსტებს, კერძოდ, რა მოხდა თეატრში. კოჟორაძემ დაიმოწმა თავად დაკავებულების მიერ სასამართლო სხდომაზე ნათქვამი, რომ თეატრის შენობაში მათ პრეზიდენტის მისამართით სიტყვიერი უკმაყოფილება გამოხატეს 26 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენების გამო.

ვახტანგ მაისურაძეს 90-დღიანი პატიმრობა შეეფარდა, გიორგი ლაპიაშვილს სასამართლომ 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა, დავით ფაცაცია კი უდანაშაულოდ ცნო.

ბასეირნება ქართული ანბანით

პოეტ ნიკო რეხვიაშვილის წიგნის პრეზენტაციაზე, რომელიც 2 ივნისს გაიმართა “სამების” ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, მიწვეული იყო გაზეთი “ილორი”.

“გზას მივდეგ, გმინვა-ურვამი, მაგის მიწის და ცის ძე ვარ, მამულის სისხლსაბრუნავში, ეს სისხლიც მიმოიქცევა”...

ამბობს პოეტი ერთ-ერთ ლექსში და მთელი თავისი შემოქმედებით ევედრება ღვთისმშობელ დედას, რომ მადლი მოაფინოს ცოდვილ შვილებს – მოქანცული დამიდან მოსულებს, ელის მზის ნათელს, როგორც რწმენას, სჯერა, რომ ყოველგვარ ბიჭიერებას გადასწონის მისი უცოდველობა.

მადლიერი მკითხველი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს მისი ტკივილითა და სიზარულით გაჯერებულ ლექსებს “როგორც ობოლ მარგალიტებს”, რომელთაც ბრწყინვალეობა არასოდეს მოაკლდებათ.

